ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 15 აგვისტო, 2022

№159 (8937)

ფასი: 80 თეთრი

## შვილმა დანით დედა მოკლა, რაშიც მეგობარი ეხმარებოდა

გვ.5



განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ორივე პირი დაკავებულია

# „რუსეთი ივანიშვილის შემცვლელს ეძებს“



გვ.2

## ლელა ჯეჯელავა: „ოპოზიცია ძალიან ღრმა ნოკდაუნშია“

„რთული სათქმელია, თუ რამ შეიძლება ააფეთქოს სიტუაცია. მოკლე ჩართვა აუცილებლად მოხდება ქვეყანაში... არ გამოვრიცხავ, ჩვენ უვიზო მიმოსვლის შეჩერების რისკის პირისპირაც აღმოვჩნდეთ“



## ზურაბ ჯაფარიძე: „სექტემბრიდან დაუმორჩილებლობა, პროტესტი, საბოტაჟი, პარალიზება ქვეყნის მასშტაბით“



გია ცაგარეიშვილი: „ისე არ აუდგეს გვერდები ჯაფარიძეს, რომ მან ქვეყანაში ვინმე გადაატრიალოს“



გვ.3

## „ოპოზიცია შეცდომებს უშვებს, ქუჩის აქციებიც ვერ უშველით“



გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „უკვე გაისმა შეფასებები, რომ მათ პოლიტიკური შეცდომა დაუშვეს, როდესაც არ მოგვცეს სტატუსი მოლდოვასა და უკრაინასთან ერთად“



გვ.4

### გერმანიის ელჩი უკრაინაში: „24 თებერვლის მოვლენებმა სამუდამოდ შეცვალეს გერმანელების დამოკიდებულება რუსეთის მიმართ“



გვ.4

### ჯემალ გამახარია: „30 წლის წინ კონფლიქტის ამდენ ხანს გაჭიანურებას არ მოველოდი“

1993230720223

**2** მამუკა ხაზარაძე: „ქართული ოცნების“ პირობებში საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს“

**6** ეგვიპტის ერთ-ერთ ეკლესიაში ხანძრის შედეგად 41 ადამიანი დაიღუპა, არიან დაშავებულებიც

**5** ოზურგეთში ყოფილი ცოლის მკვლელობის ფაქტზე მამაკაცი დააკავეს

**2** რამზან კადიროვი: „ისწავლეთ რუსეთთან მეგობრობა, კბილებსაც მთელს შეინარჩუნებთ“

# „რუსეთი ივანიშვილის შემცვლელს ეძებს“

## ლელა ჯეჯელავა: „ოპოზიცია ძალიან ღრმა ნოკდაუნშია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.



„რთული სათქმელია, თუ რამ შეიძლება აафეთქოს სიტუაცია. მოკლე ჩართვა აუცილებლად მოხდება ქვეყანაში... არ გამოვრიცხავ, ჩვენ უვიზო მიმოსვლის შეჩერების რისკის პირისპირაც აღმოვჩნდეთ“

***– ქალბატონო ლელა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? გასული კვირის ბოლოს ოთხეულის ახალი წერილი ვიხილეთ, ახალი ბრალდებებით, რასაც „ოცნების“ ლიდერებმა შოკისმომგვრელი უწოდეს. რას იტყვით თქვენ?***

– რა იყო შოკისმომგვრელი, ან ახალი რა თქვეს ამ წერილში, რაც აქამდე არ უთქვამთ?! უბრალოდ, ამ წერილის ერთი სიახლე გახლდათ ის, რომ კიდევ უფრო მეტი ბუნდოვანება იყო წერილში, ვიდრე აქამდე გამოქვეყნებულ უსტარებში.

***– რას გულისხმობთ?***

– მე მრჩება ასეთი შთაბეჭდილება, რომ ეს წერილი არ არის ამ ადამიანების ნების გამოხატულება, არც პოლიტიკური და არც წმინდა ადამიანური. უბრალოდ, მათ აქვთ ძალიან დიდი ვალი ბატონი ბიძინა ივანიშვილისა, სხვა შემთხვევაში შეუძლებელია, რომ ადამიანმა თავის ნებით ხელი მოაწეროს ისეთ სისულელეს, რაც ამ წერილში იყო. თან რა ფორმითაც არის გადმოცემული. აზრი ლოგიკურად ერთმანეთს არ ებმოდა. მიზან-შედეგობრივი კავშირები, მიუხედავად დიდი ტვინის ჭყლეტისა, ფაქტობრივად არ ჩანდა ამ წერილში და, ბუნებრივია, ვერც იქნებოდა. მე ამას ვუწოდე ტვინშეკრულობა და ენის ფალარათი. სწორედ ასეთი განცდა დამიტოვა ამ წერილმა.

***– ვალდებულება აქვთ ივანიშვილთან თუ თავად ივანიშვილი ავალებს, რომ მსგავსი სახის წერილები წერონ?***

– ის ემოცია, რაც ამ წერილიდან მოდის, პირდაპირ იკითხება. ეს არის გაჯიუტებული, გაკაპასებული და სასოწარკვეთილი ადამიანის ემოციები. როდესაც ადამიანი ასეთ მდგომარეობაშია, ბუნებრივია, მას ჰქონდეს უნარი, რომ დალაგებულად გადმოსცეს ის, რისი თქმაც უნდა. მოკლედ, ეს არის ივანიშვილის შანტაჟი დასავლეთზე. ბიძინა ივანიშვილს არ უნდა აღიარება, თორემ მას ძალიან კარგად ესმის, რომ ფაქტობრივად იგი რუსეთმაც ჩამოწერა და ახლა შეეცდება რუსეთი, რომ იპოვოს მისი შემცვლელი.

***– ასეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ რუსეთსაც აღარ უნდა ივანიშვილი?***

– ფაქტობრივად, მან თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა. რეალურად ეს არის, რის გაკეთებაც მას შეეძლო, ქვეყნის კურსი შემოატრიალა. თუმცა გეტყვით იმასაც, რომ ეს არის ძალიან ხელოვნური პროცესი, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ნებას არ ასახავს და ეს ჩვენ დაგვანახა მასშტაბურმა გამოსვლებმა.

ბიძინა ივანიშვილმა კი შეასრულა დავალება, მაგრამ ეს არ არის ის შესრულებული დავალება, რომელიც რუსეთს იმ შედეგს აძლევს, როგორიც მას უნდა. ნახეთ, რა მოხდა? უკრაინაშიც რუსეთმა ყველაზე მეტად სად წაიმტვრია ცხვირი? პუტინს ეგონა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მზად იყო იმისთვის, რომ რუსეთის ორბიტაზე დაბრუნებას არ მოჰყოლოდა ასეთი მძაფრი რეაქციები, როგორიც მოყვა. ამას რუსეთი არ ელოდა და ყველაზე დიდი შეცდომა სწორედ იქ იქნა დაშვებული. რუსეთი ხედავს, გრძნობს დაა ივნისის მოვლენებმა გადასარევად აჩვენა, რომ არც ალტინფო, არც პატრიოტთა ალიანსი, არც სხვა რომელიმე პრორუსული ძალა, რომელიც აქამდე ღიად აფილირდებოდა საქართველოს პრორუსულ კურსთან, არ არის უნარიანი, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის ნება გადატეხოს. ამიტომ ახლა კიდევ ვხედავთ ხელოვნურ მცდელობას, რომ ეგებ, რაღაც გამოვიდეს „ოცნების“ საშვით.

***– ქალბატონო ლელა, თქვენ ამბობთ, რომ ივანიშვილმა ამოწურა რესურსები და ახლა რუსეთი მის შემცვლელს ეძებსო.***

– კი, ნამდვილად ასეა.

***– იკვეთება რაიმე სახის კონტურები, ვინ შეიძლება ჩაანაცვლოს ივანიშვილი? ვის განიხილავს რუსეთი?***

– ძალიან ძნელია ახლა რუსეთის გეგმებზე საუბარი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რასაც მე ვხედავ, ეს შეიძლება იყოს ქართულ პოლიტიკაში მყოფი რომელიმე ადამიანი, მათ შორის, მაგალითად, ირაკლი ღარიბაშვილი. რატომაც არა. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ირაკლი ღარიბაშვილს დღეს, რეალურად მეტი გულწრფელი მომხრე ყავს, ვიდრე ბიძინა ივანიშვილს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ გაემიჯნება ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილს და ცალკე თამაშს დაიწყებს?***

– მე მრჩება განცდა, რომ არა მარტო ღარიბაშვილს, არამედ „ოცნების“ სხვა ფრთასაც, იგივე პარტიის ლიდერს, ირაკლი კობახიძეს, თავიანთი საყრდენები რუსეთში მოძებნილი ჰყავთ უკვე და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის იმედად არ არიან. როდესაც დადგება ის გადამწყვეტი მომენტი, რომ მათაც ბიძინა ივანიშვილი დატოვონ მეფე ლირივით მარტო, ისინი ამას იზამენ აუცილებლად. ამაში ეჭვიც არ მეპარება არც ერთი წუთი.

***– ამ ყველაფერს ივანიშვილი ვერ ხვდება?***

– ივანიშვილი ახლა კიდევ ფიქრობს და აწყობს თავის კომბინაციებს, შიდა პოლიტიკურ ველზე რა ტიპის კომბინაციები შეიძლება გაითამაშოს. არ გამოვრიცხავ, რომ მან პოლიტიკურ ველზე სათამაშოდ შემოიყვანოს თავის ადვოკატი, რომელიც, გარდა იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილის ფინანსებზე დავობს, ძალიან ვრცელი წერილებით ესაუბრება ქართველ მოსახლეობას გეოპოლიტიკისა და საქართველოს პოლიტიკური შესაძლებლობების შესახებ.

***– ყიფიანზე საუბრობთ?***

– დიახ და ვფიქრობ, რომ გარკვეულწილად ეს მოთელვაა ამ ადამიანისა, რამდენად შესაძლებელი გახდება მისი ხედვების და იდეების ქართველ საზოგადოებაში ადაპტაცია.

დღეს ბიძინა ივანიშვილს აღარა აქვს იმისი ფუფუნება, რომ ზედაპირული ცვლილებებით შემოიფარგლოს, ფუნდამენტური ცვლილებები უნდა განახორციელოს. ეს ფუნდამენტური ცვლილებები კი იქნება გუნდის მთლიანად განახლება. ამ წერილებიდან მე ვხედავ, რომ ვიქტორ ყიფიანი აბსოლუტურად სხვაგვარად პოზიციონირებს. მისი პოლიტიკური ხედვები აცდენილია იმ ქმედებებს, რომლითაც „ქართული ოცნების“ ამჟამინდელი გუნდი პოზიციონირებს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ უფრო მნიშვნელოვანი ტიპის ცვლილებების განხორციელებას აპირებს ბიძინა ივანიშვილი. ის შეეცდება, უფრო სერიოზულ ცვლილებებზე წავიდეს და ამით დასავლეთთან ურთიერთობის ახალი პლატფორმა შექმნას.

***– როდესაც ბრძანეთ, რომ რუსეთსაც აღარ სჭირდება დღეს ივანიშვილი, სწორედ ამ ცვლილებებით ხომ არ შეეცდება ის, რომ დაალაგოს ურთიერთობები დასავლეთთან?***

– რასაკვირველია. მით უმეტეს, ზაფხულის მიწურული და შემოდგომის დასაწყისიც გვაჩვენებს, რომ ფრონტის ხაზზეც მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნება, რაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაშიც შეიტანს კორექტივებს. თუმცა უნდა გითხრათ, რომ ეს არის ძალიან დაგვიანებული. ეს მისი ნებაა, რომ შეეცადოს ცვლილებებს, მაგრამ რამდენად შედეგიანი იქნება, ეს ცალკე საკითხია.

***– ანუ შემოდგომიდან უნდა ველოდოთ ამ ცვლილებებს?***

– კი, აუცილებლად. ერთადერთი, რაც ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს, ეს არის შიდა პოლიტიკური პროცესი და ქართული ოპოზიციის ძალიან ღრმა ნოკდაუნი, რომელშიც ის იმყოფება.

***– მივადექით ოპოზიციის თემასაც. გვიანონსებენ ძალიან ცხელ შემოდგომას, საბოტაჟს ხელისუფლების წინააღმდეგ. თუმცა ასევე გვესმის შეფასებები, რომ ძალიან ცუდ დღეშია ოპოზიცია და უუნაროაო. თქვენ რას იტყვით?***

– ქართული პოლიტიკა საუკეთესო მაგალითია იმისთვის, რომ ზუსტად იცოდეს საზოგადოებამ, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს პოლიტიკოსის სიტყვას, მთავარია მისი ქმედება. ჩვენი პოლიტიკის ყველაზე სერიოზული მახასიათებელი არის ის, რომ სიტყვა და ქმედებები ერთმანეთისგან არის ძალიან აცდენილი. ამიტომაც არის ქვეყანა ამ დღეში, რა დღეშიც არის. არც ოპოზიციისგან არ გვიკვირს ჩვენ სიტყვის გატეხა. მათ ან არა აქვთ სურვილი, ან, უბრალოდ, უნარი არა აქვთ საზოგადოებისთვის მიცემული სიტყვის. ამის მაგალითი ჩვენ ძალიან ბევრჯერ ვნახეთ. თუნდაც ამ ოპოზიციის პირობებში. ისინი ძალიან არათანმიმდევრულად მოქმედებენ.

***– ნაციონალურმა მოძრაობამაც დაკარგა ის წონა, რაც წინა წლებში ჰქონდა.***

– ეს ბუნებრივიც არის. ნაციონალურ მოძრაობას თუ არ ესმოდა ის, რომ მისი პოლიტიკური წონის ხვედრითი წილის აბსოლუტური უმრავლესობა მათ ლიდერზე, მიხეილ სააკაშვილზე მოდიოდა, რომელიც ახლა ციხეშია და რომლის ციხეში არ მოხვედრისთვის და მერე მისი ციხიდან დახსნისთვის, პარტიამ რეალურად შედეგი ვერ დადო, ამიტომ არაფერია ამაში გასაკვირი. გვაქვს ის მდგომარეობა, რაც გვაქვს.

***– თქვენი მოლოდინები როგორია?***

– ჟანრის კლასიკის მიხედვით, ვითარება დრამატიზაციას ითხოვს. ამ დრამატიზაციის დეტონატორი რა იქნება, მე ძალიან მიჭირს ამის თქმა. შეიძლება ეს იყოს რომელიმე საგარეო ფაქტორი, შეიძლება შიგნით რომელიღაც მოვლენა და პროცესი. ახლა რთული სათქმელია, თუ რამ შეიძლება ააფეთქოს შიგნით სიტუაცია. საამისოდ განწყობები არის მზად. მოკლე ჩართვა აუცილებლად მოხდება. გუშინ მე რასაც ვუსმინე ევროკავშირის განცხადებას, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების თაობაზე საქართველოს ვალდებულებებს და ანგარიშს წარმოადგენს. სადაც ძალიან მკაფიოდ არის მითითებული, რომ ასოცირების ხელშეკრულების თვალსაზრისით, საქართველოში სიტუაცია არის ძალიან გაუარესებული.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ევროკავშირში მიღებული იქნას იმ ტიპის გადაწყვეტილება, რაც ქართველი საზოგადოების, ჩვენი ემიგრანტების დიდ აღშფოთებას გამოიწვევს. რაც შესაბამისად კონვერტირდება პოლიტიკურ პროცესებში.

***– რა შეიძლება გახდეს ამ აღშფოთების მიზეზი?***

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ უვიზო მიმოსვლის შეჩერების რისკის პირისპირაც აღმოვჩნდეთ. ასე რომ, ძალიან ბევრი რამ შეიძლება აღმოჩნდეს ქართული საზოგადოების გაღიზიანების მიზეზი.

# მამუკა ხაზარაძე: „ქართული ოცნების“ პირობებში საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს“



პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის განცხადებით, „ქართული ოცნების“ პირობებში საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს.

მან ევროკომისიის ანგარიში შეაფასა და აღნიშნა, რომ ხელისუფლება ქვეყანას რუსული ორბიტისკენ მიაქანებს.

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, „ქართული ოცნების“ პირობებში საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ სჯობს სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. ეს ილუზიები არავის აქვს. როგორც „ქართული ოცნება“ მართავს ამ ქვეყანას, ეს არის მიმართული იმ ორბიტისკენ, რასაც რუსეთის ორბიტა ჰქვია, ეს არის მკაფიო. საქართველოში ადამიანები მიხვდნენ, რომ „ქართული ოცნება“ დასავლური ძალა არ არის, ეს არის რუსული ძალა საქართველოში ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, – განაცხადა ხაზარაძემ.

ცნობისთვის, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს მორიგ სხდომამდე, რომელიც 2022 წლის 6 სექტემბერს გაიმართება, ევროკავშირმა ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების შესახებ ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა.

ანგარიშში მიმოხილულია საქართველოს მიერ გასული წლის განმავლობაში ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული რეფორმები.

ანგარიშის თანახმად, გასული წლის განმავლობაში სასამართლო სისტემის რეფორმა შეფერხდა და ძირითად სფეროებში რეგრესიც კი განიცადა.

ამასთან, ევროკომისიის ანგარიშის თანახმად, სახალხო დამცველის ოფისმა ზეწოლა იმის გამო განიცადა, რომ ხმამაღლა ეხმაურებოდა გარკვეულ პოლიტიკურად სენსიტიურ საკითხებს. გარდა ამისა, ანგარიშში ნიკა მელიას, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, ნიკა გვარამიას და მიხეილ სააკაშვილის საქმეები მოხვდა.

# რამზან კადიროვი: „ისწავლეთ რუსეთთან მეგობრობა, კბილებსაც მთელს შეინარჩუნებთ“



დასავლელმა პოლიტიკოსებმა თავი უნდა აარიდონ რუსეთის დაშლის სტრატეგიას და იმაზე უნდა იფიქრონ, როგორ განავითარონ მასთან თანამშრომლობა. ამის შესახებ ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, დასავლური სამყარო ამ დრომდე ვერ ხვდება ერთ რამეს: თანამედროვე რუსეთი დიდი ხანია აღარ არის „გორბაჩოვისეული რესპუბლიკების კავშირი“ და „ელცინის ტერიტორია, რომელიც აშენებულია პუტჩზე, დეფიციტსა და დეფოლტზე“.

– ეს უკვე სხვა ძლიერი და ძლევამოსილი რუსეთია და თქვენ, დასავლელმა პოლიტიკოსებმა, საჭიროა, გადახედოთ არა რუსეთის ფედერაციის დაშლის სტრატეგიას, არამედ იმ ქვეყანასთან თანამშრომლობას, რომელიც გაძარცული და დასავლეთისგან დამცირებული, ბოლო 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, გადაიქცა ძლიერი პოლიტიკური დღის წესრიგის მქონე სახელმწიფოდ, რეორგანიზებული სტრატეგიული მიზნებით, – განაცხადა კადიროვმა.

მანვე დასძინა, რომ დასავლეთის ქვეყნებმა ჯობს, არ იდავონ რუსეთთან. მანვე გაიხსენა რუსეთის ლიდერის ვლადიმერ პუტინის სიტყვები, რომ თუკი ვინმე მოინდომებს ქვეყანას რაიმე ჩამოაჭრას, უკბილოდ დატოვებს.

– ისწავლეთ რუსეთთან მეგობრობა – მაშინ კბილებსაც მთელს შეინარჩუნებთ, – აცხადებს კადიროვი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზურაბ ჯაფარიძე: „სექტემბრიდან დაუმორჩილებლობა, პროტესტი, საბოტაჟი, პარალიზება ქვეყნის მასშტაბით“

## გია ცაგარეიშვილი: „ისე არ აუდგეს გვერდები ჯაფარიძეს, რომ მან ქვეყანაში ვინმე გადაატრიალოს“

მარიამ მჭედლიშვილი

თავიდანვე ცხადი იყო, რომ საქართველოს პოლიტიკაში დეპოლარიზაციის განხორციელება ამ ეტაპზე შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა, მიმდინარე პროცესები მოლოდინს აჭარბებს. პოლარიზაცია კიდევ უფრო იზრდება.

ოპოზიცია, რომელსაც მმართველი გუნდი რადიკალურს უწოდებს, დროდადრო აანონსებს ცხელ შემოდგომას. „ოცნების“ ბირთვი, საპასუხოდ ააქტიურებს ოპოზიციის გაკოტრების, ასევე ომში ქვეყნის ჩათრევის საკითხებს.

მოახლოებულ მშფოთვარე შემოდგომაზე ვიდეორგოლის საშუალებით მოწოდებას ავრცელებს „გირჩი – მეტი თავისუფლება“-ს ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე.

**ზურაბ ჯაფარიძე:**



– დაუმორჩილებლობა, პროტესტი, საბოტაჟი, პარალიზება ქვეყნის მასშტაბით – სექტემბრიდან მე და ჩემი მეგობრები მეტწილად ამას დავუთმობთ დროს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით.

მას ეხმაურება „ქართული ოცნების“ წევრი გია ცაგარეიშვილი.

**გია ცაგარეიშვილი:**




– ისე არ აუდგეს გვერდები შარვალჩახდილ ჯაფარიძეს, რომ მან ქვეყანაში ვინმე გადაატრიალოს. ეს ადამიანი გამოდის ხელისუფლების დამხობის მოწოდებით. საბოტაჟი, არეულობა, ადმინისტრაციული შენობების შტურმი – ეს ყველაფერი ხელისუფლების დამხობაა.

### „კვარტეტი“ განაგრძობს სიტყვიერ შტურმს აშშ-ის ელჩზე

ოთხი დეპუტატი, რომელიც „ქართული ოცნების“ უმრავლესობას „სიმართლის სათქმელად“ გამოეყო და რომელიც საზოგადოებრივ ორგანიზაცია „ხალხის ძალაში“ გაერთიანდა, თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას აგრძელებს. ამ ჯგუფის მთავარი ფუნქცია აშშ-ის ელჩზე სიტყვიერი შტურმია. ოთხეული ელჩს იმ შეკითხვებსაც უსვამს, რომლებზეც კელი დეგნანს პასუხი გაცემული აქვს.

ელჩისადმი გაგზავნილ ბოლო წერილში სუბარი-ხუნდაძე-მაჭარაშვილი-ყაველაშვილის ფლანგი ირწმუნება, რომ სამი წლის წინ გადაწყდა უკრაინის ომისათვის მზადება და ამავე დროს დაიწყო მუშაობა საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად. ხელისუფლებაში უნდა მოსულიყვნენ ისინი, ვინც საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩააბამდნენ. კვარტეტი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების შეცვლა უნდა რადიკალურ ოპოზიციას, რომლის რადიკალურ დღის წესრიგს კოორდინაციას უწევს აშშ-ის საელჩო.

„ხალხის ძალა“ აცხადებს, სამი ქვეყნისათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესი განგებ დაჩქარდა, რათა უკრაინას და მოლდოვას ეს სტატუსი მიეღოთ, საქართველოს – არა, ამას უნდა გამოეწვია ხალხის მღელვარება, რითიც ისარგებლებდნენ ხსენებული ძალები.

**მიხეილ ყაველაშვილი:**

– ამერიკის საელჩოს მოვუწოდებთ, რომ შენგან იმართებიან ეს ადამიანები... ამას ქართველი საზოგადოება აღარ იღებს, ველარ მიიღებს. გავაუმჯობესოთ ჩვენი ურთიერთობები, – ჩვენი მოწოდება ეს არის.

სოზარ სუბარი საუბრობს იმაზე, რომ დასავლეთი (ევროკავშირი) ახდენს ზეწოლას საქართველოზე და იხსენებს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის – შარლ მიშელის ხელმძღვანელობით მიმდინარე პროცესზე, რომელიც დამთავრდა შეთანხმების გაფორმებით. მას ხელი არ მოაწერა ნაციონალურმა მოძრაობამ. ეს პარტია მხოლოდ მაშინ შეუერთდა „შარლ მიშელის დოკუმენტს“, როცა შეთანხმებას გამოეთიშა „ქართული ოცნება“.

**სოზარ სუბარი:**



– ვერანაირი ოპოზიცია, მით უმეტეს, გაკოტრებული ოპოზიცია, ვერ მოახერხებდა იმას, რომ მომხდარიყო უგულავა-ოქრუაშვილის გამოშვება და სამართლიანი სასამართლოს უფლების უგულებელყოფა იმის გამო, რომ ამას გაკოტრებული ოპოზიცია ითხოვდა... შარლ მიშელის დოკუმენტთან დაკავშირებით მთელი საქართველო კი არა, მთელი ევროპა და მთელი მსოფლიო პირდაპირ ეთერში უყურებდა, როგორ ხდებოდა ხელისუფლებაზე ზეწოლა.

უმრავლესობიდან ფორმალურად გამოსულ კვარტეტს კვერს უკრავს „ქართული ოცნება“.

„ოცნების“ წევრი რატი იონათამიშვილი აცხადებს, რომ ბოლო წერილში მოყვანილი ფაქტები და დასკვნები შოკის მომგვრელია. იგი მოელის, რომ მმართველი გუნდი შეიკრიბება და ამ საკითხებზე იმსჯელებს.

ექსპერტი **ედიშერ გვენეტაძე** ოთხეულს გმირებად რაცხავს:

– ის, რაზეც „ოთხეულმა“ ისაუბრა, ნამდვილი გმირობაა. შიდა და გარე მტრებს სურდათ და დღესაც სურთ საქართველოს ომში ჩართვა.

„ქართული ოცნება“ და მისი გარემოცვა გადასულია მკვეთრ ანტიდასავლურ რიტორიკაზე. ამ პირებს აშკარად აღიზიანებთ დასავლეთის ინტერესი საქართველოს მიმართ. მათ ლოგიკას თუ მივყვებით, გამაღიზიანებელია ევროკავშირის რეკომენდაციებიც, რომლების შესრულება აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი (მანამდე – კანდიდატი).

აშშ-ის ჩარევის გამო ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების საშინაო საქმეებში რუსეთშიც გამოთქვამენ უკმაყოფილებას. ოკუპანტი სახელმწიფოს პოლიტიკოსის ზოგიერთი ფრაზა ამ თემატიკაზე ზუსტად ემთხვევა ქართველი პოლიტიკოსების რიტორიკას. რუსები გამოსავალს ხედავენ განახლებული საბჭოთა კავშირის ფორმირებაში. მათი განმარტებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო კავშირის შექმნა დაიცავს საბჭოთა კავშირის ყოფილ წევრებს ამერიკული ექსპანსიისაგან. ქართველი პოლიტიკოსები ჯერ ახალ იმპერიაზე არ ალაპარაკებულან. თუმცა, მათი ანტიდასავლური გამოსვლები ისეთი ტემპით მწვავდება, რომ ნელ-ნელა ამ თემასაც შემოაპარებენ.

# „ოპოზიცია შეცდომებს უშვებს, ქუჩის აქციებიც ვერ უშველით“

## რამაზ საყვარელიძე: „უკვე გაისმა შეფასებები, რომ მათ პოლიტიკური შეცდომა დაუშვეს, როდესაც არ მოგვცეს სტატუსი მოლდოვასა და უკრაინასთან ერთად“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, სექტემბრიდან როგორი შეიძლება იყოს პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში? წინასაარჩევნო კამპანიის სამზადისს დაიწყებს პოლიტიკური სპექტრი?***

– 2024 წლის არჩევნებისთვის სამზადისს მე უფრო მოგვიანებით ველოდები. ერთი წლით ადრე საარჩევნო ციებ-ცხელება ნაკლებად არის მოსალოდნელი. ეს პროცესი ალბათ ამ წლის ბოლოსთვის დაიწყება და არა შემოდგომიდან. თუმცა, შემოდგომიდან სხვა პროცესები გარდაუვალი იქნება.

შემოდგომიდან ოპოზიცია ეცდება 12-პუნქტიან გეგმას მიაბას თავისი გააქტიურება და ქუჩაში გავიდეს. 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების საკითხი საამისოდ ყველაზე საუკეთესო გზაა ოპოზიციისთვის, რომ მათ იპოვონ ქუჩაში გასვლის მიზეზი. რასაკვირველია, ოპოზიციის რადიკალური ნაწილი ყველა შემთხვევაში ეცდება მოვლენების რადიკალიზაციას და ქვეყანაში კრიზისის შექმნას, რათა მათ აიყოლიონ უკმაყოფილო მოსახლეობის ნაწილი მაინც.

***– ხალხი გავა ქუჩაში?***

– გააჩნია მოვლენებს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მე არ ველოდები მოქალაქეების იმ რაოდენობით ქუჩაში გასვლას, რომელიც უკვე ვნახეთ, ეს გამორიცხულია. ოპოზიციის ნაწილი კი ნამდვილად გავა და შეეცდება ქუჩიდან ააგოროს ახალი პოლიტიკური პროცესი, მაგრამ არ მგონია, რამე გამოუვიდეთ, რადგან ვხედავთ, ოპოზიცია როგორ უშვებს შეცდომას შეცდომაზე. ოპოზიცია რომ გავა ქუჩაში, ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან მათ არ მოუხდენიათ საკუთარი ტაქტიკის გადალაგება. არ მოუხდენიათ რაიმე სიახლის შეტანა სამოქმედო გეგმაში. მათთვის ერთადერთ პრიორიტეტად ქუჩა რჩება. არადა, აქამდე უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ სიახლე სჭირდებათ. სტრატეგიის განახლება სჭირდებათ. ამ სტრატეგიით შეუძლებელია არჩევნებზე რაიმე ტიპის წარმატება ჰქონდეთ. ამაზე უნდა დაფიქრდნენ. პარლამენტში მყოფი ოპოზიციის ნაწილიც კი ქუჩაში იყურება, იმის ნაცვლად, რომ პარლამენტში გააძლიეროს მუშაობა. მის ხელთ არსებული ბერკეტი, დეპუტატის ტრიბუნა, ბოლომდე გამოიყენოს.

***– ოპოზიციის ეს ნაწილი პარლამენტის დატოვებით იმუქრება. შეიძლება დატოვონ კიდეც?***

– გააჩნია, რა იქნება მიზანი. მიზანი თუ იქნება პროცესების რადიკალიზაცია, ქვეყანაში კრიზისის შექმნა და საერთაშორისო ყურადღების მიქცევა, მაშინ არ გამოვრიცხავ, რომ დატოვონ კიდეც და არა მხოლოდ პარლამენტი.

არჩევნების შემდეგ, როდესაც ოპოზიციამ თქვა, რომ არ შევიდოდა პარლამენტში და ბოიკოტის რეჟიმში იქნებოდა, დასავლეთის ყურადღება ნამდვილად მიიქცია. ბოიკოტს მოჰყვა შარლ მიშელის ვიზიტები და შემდეგ უკვე შარლ მიშელის დოკუმენტის შექმნა, რომლის საფუძველზეც შევიდა ოპოზიცია პარლამენტში. ამდენად, მე არ გამოვრიცხავ, რომ კვლავ ვიხილოთ ოპოზიციის მხრიდან ყურადღების მიქცევის მიზნით იგივე ტაქტიკით მოქმედება.

ოპოზიციის ამ ნაწილის მხრიდან პარლამენტის დატოვება ნამდვილად გამოიწვევს მოვლენების რადიკალიზაციას და გამწვავებას. თუმცა, ეს არ იქნება ოპოზიციური სპექტრისგან სრული გასვლა, რადგან ჩვენ ვიცით, რომ არიან პარლამენტში პოლიტიკური ძალები, რომლებიც არ დატოვებენ საკანონმდებლო ორგანოს. მათ ამის შესახებ განცხადება აქვთ გაკეთებული. ამიტომ, ეს არანაირ ხელახალ არჩევნებს და ა.შ. არ გამოიწვევს.

***– ევროკომისიის მორიგი დასკვნის შემდეგ, მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ ევროკავშირის სტატუსს ქვეყანა ამ ხელისუფლების პირობებში ვერ მიიღებს და ამ მწარე სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ.***

– მე ვთვლი, რომ ევროკავშირის მხრიდან კანდიდატის სტატუსის არ მოცემის მიზეზი არ ყოფილა ამ ხელისუფლების ნაბიჯები.

***– თქვენი აზრით, რა იყო მიზეზი?***

– მიზეზი ბევრად უფრო გლობალური იყო. ეს უფრო მიბმული იყო არა კონკრეტულად საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან, არამედ საერთაშორისო მოვლენებთან. მე მაინც ამ ყველაფერს ვუკავშირებ რუსეთის ფაქტორს. საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა სრულიად ღიად თქვა, რომ საქართველო კავკასიის რეგიონშია, რომ საქართველო არ არის ევროპა. რაც შეეხება უკრაინას, აქ ყველაფერი გასაგებია. რაც შეეხება მოლდოვას, მას მისცეს სტა-



ტუსი, რადგან მოლდოვას ევროკავშირში ძალიან დიდი ლობი ჰყავს.

მიიღებს თუ არა საქართველო ევროკავშირის ქვეყნის სტატუსს, ეს ისევ დაკავშირებული იქნება იმ დროისთვის არსებულ საერთაშორისო მოვლენებთან. როგორი იქნება ამერიკა-ევროკავშირ – უკრაინა-რუსეთის იმდროინდელ მდგომარეობასთან და არა „ქართული ოცნების“ მიერ გადადგმულ ნაბიჯებთან.

ევროკავშირში უკვე გაისმა შეფასებები, რომ მათ პოლიტიკური შეცდომა დაუშვეს, როდესაც არ მოგვცეს სტატუსი მოლდოვასთან და უკრაინასთან ერთად. თუ, ერთი მხრივ, საერთაშორისო მდგომარეობა და, მეორე მხრივ, ევროკავშირი შეეცდება თავისი პოლიტიკური შეცდომის გამოსწორებას, მაშინ სტატუსს დაუყოვნებლივ მოგვცემენ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება – არ შესრულების მიუხედავად. მოგვცემენ სტატუსს და გვეტყვიან, შესრულდა 12-ვე პუნქტი ან დამატებით მოგვცემენ „საშინაო დავალებას“, რომელიც უნდა შევასრულოთ.



### რომან გოცირიძე: „ევროკომისიის ანგარიში არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შეფასება, რაც კი ევროკავშირს გაუკეთებია“

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის რომან გოცირიძის განცხადებით, ევროკომისიის აპარატის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში ყველაზე მძიმე შეფასებები ისმის, რაც კი როდისმე ევროკავშირს გაუკეთებია.

როგორც მან აღნიშნა, თუ არსებული სიტუაცია გაგრძელდება, საქართველოს არა თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსს არ მიანიჭებენ, არამედ ვიზებსაც გააუქმებენ.

– ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შეფასება, რაც კი ევროკავშირს გაუკეთებია. ეს თუ გაგრძელდა, არა თუ ევროკავშირის წევრობის კანდიდატად მიღება, ვიზებსაც გაგვიუქმებენ იმიტომ, რომ „წითელ ხაზად“ გასდევს ერთი მთავარი სიტყვა, რომელსაც იმეორებენ მრავალჯერ – უკუსვლა, უკუსვლა, უკუსვლა, ყველა მიმართულებით უკუსვლა. წინსვლა არის პოლიტიკური პატიმრების დაჭერაში. თუ ერთი პოლიტიკური პატიმარი იყო, ახლა კიდევ რამდენიმე დაემატა, – განაცხადა გოცირიძემ.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# გერმანიის ელჩი უკრაინაში: „24 თებერვლის მოვლენებმა სამუდამოდ შეცვალეს გერმანელების დამოკიდებულება რუსეთის მიმართ“

მარიამ მჭედლიშვილი

**გერმანიის ელჩი უკრაინულ მედიასთან აღწერს გერმანელების დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ და გერმანიაში არსებულ მდგომარეობას. მისი განმარტებები განსხვავდება იმისგან, რასაც რუსული პროპაგანდა ავრცელებს.**

***– უკრაინელებისათვის ახლა პრიორიტეტულია წინააღმდეგობის გაწევა რუსეთის აგრესიისადმი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური პრობლემების დაძლევა. გერმანელებს რა საზრუნავი ექნებათ შემოდგომაზე?***

– გერმანიის საზოგადოებაც მეტწილად ფიქრობს რუსეთის ომზე უკრაინაში. ეს ნორმალურია, ვინაიდან ამჟამად გერმანიაში მილიონამდე უკრაინელი იმყოფება. გერმანელები ნამდვილად უკრაინის მხარეს არიან და მათ უნდათ, რომ მან გაიმარჯვოს ამ ომში.

იმავდროულად, ჩვენ ჩვენი ეკონომიკური პრობლემები გვაქვს – არა მარტო ომის გამო, არამედ არა მიღებული გადაწყვეტილებების მიზეზით. გავაცნობიერეთ, რომ ჩვენი დამოკიდებულება იმპორტულ ენერგომატარებლებზე ძალიან მაღალი იყო და ახლა აქტიურად ვმუშაობთ მის მოშორებაზე. მალე ყველა იძულებული იქნება, სწრაფად მიიღოს შხაპი და თერ-



მოსტატზე დაუწიოს ტემპერატურას 1-2 გრადუსით.

***– რა დასკვნა გამოიტანეს გერმანიაში მას შემდეგ, რაც კანადამ გაზის ტურბინა დაუბრუნა?***

– ყველას ესმის, რომ ეს ტურბინა ჩვენთან დარჩება. ჩვენი მოტივაცია იყო, არ მიგვეცა რუსეთისთვის დამატებითი არგუმენტი ჩრდილოეთი ნაკადი 1-ის მილსადენით გაზის მოწოდების შესაჩერებლად. ყველა ხვდებოდა, რომ რუსეთი შეამცირებდა გაზის მოწოდების მოცულობას. არ გვინდოდა მათთვის მიგვეცა კიდევ სხვა საბაბი. მართლაც, რუსეთმა ჩრდილოეთი ნაკადი 1-ით გაზის მოწოდების მოცულობა შეამცირა. ტურბინა ჩვენთანაა. ამან გამოიწვია საკმაოდ უსიამოვნო დისკუსიები კანადელ და უკრაინელ პარტნიორებთან. ჩემი აზრით, გარკვეული დროის შემდეგ რუსული გაზის მოწოდება ევროპაში მთლიანად შეწყდება.

***– ჩრდილოეთი ნაკადი 2-ის გაშვების საკითხი მოხსნილია დღის წესრიგიდან?***

– დიახ.

***– პუტინი მომავალ ზამთარში ფსონს იმაზე დებს, რომ ევროპელები რუსული გაზის გარეშე გაიყინებიან და ხელს აიღებენ უკრაინის მხარდაჭერაზე. რამდენად არიან გერმანელები მზად შეეწინააღმდეგონ პუტინის ასეთ სცენარს საკუთარი კომფორტის ხარჯზე?***

– ადამიანებს, რომლებიც ჩვეიან კომფორტის დონის დაწევაზე, ყველა დროში წააწყდებით. დედაჩემიც ბუზღუნებდა და ამბობდა, რომ ოთახში ესაჭიროება 24-გრადუსიანი ტემპერატურა. მე მას ვპასუხობდი, რომ აქვს თბილი სვიტერი, რომლის ჩაცმაც შეუძლია.

გერმანელების უმრავლესობა უკრაინის მხარესაა და ეს ადამიანები ადვილად დათანხმდებიან შენობებში ტემპერატურის დაწევას. ეს არ ნიშნავს, რომ გავიყინებით. გაზსაცავები შევსებულია დაახლოებით 75%-მდე. დარწმუნებული ვარ: ამ ზამთარს უპრობლემოდ გადავიტანთ და ვიმუშავებთ იმაზე, რომ შევამციროთ დამოკიდებულება რუსულ გაზზე.

***– თუ რუსეთი საერთოდ გადაკეტავს გაზს, გაუმკლავდება ამას გერმანია?***

– დიახ. აქტიურად ვაშენებთ გათხევადებული გაზის ორ ახალ ტერმინალს. ხანდახან ასეთი კრიზისები საჭიროა, რათა სწრაფი რეაგირება მოვახდინოთ და დავაჩქაროთ იმის კეთება, რასაც დიდი ხნის განმავლობაში ვგეგმავდით.

***– გერმანიის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, გერმანია 1 აგვისტოდან სრულად შეწყვეტს რუსული ქვანახშირის, 31 დეკემბრიდან კი რუსული ნავთობის შესყიდვას. ხორციელდება ეს გეგმები?***

– რუსული ქვანახშირის ყიდვა შეჩერებულია. შემოვა ნახშირით დატვირთული უკანასკნელი გემი. ნავთობზე ეტაპებია: რუსული ნავთობის შემოტანას ტანკერებიდან ვწყვეტთ დეკემბრის დასაწყისში, ნავთობსადენიდან კი – თუ 31 დეკემბრამდე არა, მაშინ ოდნავ მოგვიანებით.

***– გადააფასა თუ არა გერმანიის საზოგადოებამ თავისი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ?***

– 24 თებერვლის მოვლენებმა სამუდამოდ შეცვალა გერმანელების დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. იდეა და ოცნება, არა მხოლოდ გერმანელებისა, მდგომარეობდა დიდი ევროპული სივრცის შექმნაში, მაგრამ რუსეთის სრულმასშტაბიანმა შეჭრამ უკრაინაში ყველაფერი შეცვალა.

# „30 წლის წინ კონფლიქტის ამდენ ხანს გაჭიანურებას არ მოველოდი“

## ჯემალ გამახარია: „აფხაზეთის პრობლემის რეალური მოგვარება შესაძლებელი გახდება მაშინ, როდესაც სერიოზული გეოპოლიტიკური ძვრები მოხდება. ასეთი დრო კარზეა მომდგარი“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.**

***– ბატონო ჯემალ, 30 წელი გავიდა აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან და ტრაგიკული პროცესებიდან, რაც იქ განვითარდა. იფიქრებდით, რომ 30 წელი გავიდოდა და ეს კონფლიქტი მოუგვარებელი იქნებოდა?***

– არ მეგონა, კონფლიქტი 30 წლის მანძილზე თუ გაგრძელდებოდა და კიდევ არანაირი წინაპირობა არ იქნებოდა კონფლიქტის მოსაგვარებლად. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო და არის. 30 წლის წინ რომ დაესვათ კითხვა, რამდენი ხანი შეიძლება გაგრძელდეს კონფლიქტიო, ვუპასუხებდი, 10-15 წელი-მეთქი, მაგრამ კონფლიქტის ამდენ ხანს გაგრძელებას არ მოველოდი.

***– რატომ არ მოელოდით?***

– 30 წლის წინ კონფლიქტის ამდენ ხანს გაჭიანურებას არ მოველოდი, მაგრამ 2008 წლის ომის შემდეგ, დავინახე პრობლემა, მთელი მისი თანმდევი სხვადასხვა პრობლემებით. 2008 წლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდებოდა.

***– რატომ ფიქრობდით, რომ კონფლიქტი 10-15 წელში დარეგულირდებოდა? აფხაზეთში ქართველთა გენოციდის გამოძიების მასალებს ვიცნობ, მინახავს გენოციდის ამსახველი ფოტომასალა. მაშინ აცხადებდნენ, რომ გაგრის სტადიონზე ქართველთა თავებით ფეხბურთი ითამაშეს. ამის შემდეგ ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული ურთიერთობა კონფლიქტის მოკლე დროში დარეგულირების იმედს იძლეოდა?***

–კონფლიქტი 2-3 წელიწადში რომ არ დარეგულირდებოდა, ძალიან კარგად ვიცოდი. მაგრამ ვფიქრობდი, 10-15 წელი საკმარისი იქნებოდა კონფლიქტის მოსაგვარებლად. ჩვენი ქვეყანა და მეც გარკვეულ იმედებს საერთაშორისო საზოგადოებაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებზე ვამყარებდით. შეცდომა აქ დავუშვით. ითვალისწინებდა რა რუსეთის ფაქტორს, საერთაშორისო საზოგადოებამ არც 1992-93 წლებში მიაქცია ყურადღება მიმდინარე პროცესებს და არც 2008 წელს.

განსაკუთრებით 30 წლის წინ, 1992-93 წლებში, რატომღაც ეგონათ, რომ ელცინის ხელისუფლება დემოკრატიული იყო, რუსეთი დემოკრატიული გზით ვითარდებოდა. რუსეთი ჩვენ გვყავდა მშვიდობისმყოფელად გაეროს გადაწყვეტილებითა და თანხმობით, ანუ, როგორც 1992-93 წელს, ისე 2008 წელს, ჩვენი იმედები ილუზორული აღმოჩნდა და გაეროს, ევროპას და ნატოს უკავშირდებოდა.

2008 წლის შემდეგ უფრო სალი გონებით განვსაჯე და მივხვდი, რომ ეს რთული და მძიმე პრობლემა ჩვენ უნდა მოვაგვაროთ, ჩვენ მაგივრად მას არავინ სხვა არ მოაგვარებს.

***– თქვენ კონფლიქტის ყველა ნიუანსში კარგად ერკვევით. თუ გაიხსენებთ რომელიმე ქვეყანას, რომელიც 1992-93 წლებში აფხაზეთის კონფლიქტში საქართველოს ეხმარებოდა?***

***– მე ვერ დაგისახელებთ ისეთ ქვეყანას, სახელმწიფოს, რომელიც ისე გვეხმარებოდა, როგორც თურქეთი აზერბაიჯანს ეხმარება. თურქეთი აზერბაიჯანს რომ ეხმარება, ჩანს, ამას ჰქვია დახმარება. ასეთი ერთგული მოკავშირე, რომელიც საქართველოს დაეხმარებოდა, არ მახსოვს. დღესაც ვერ ვხედავ ისეთ სახელმწიფოს, რომელიც საქართველოსთვის იომებს და მკვეთრ ნაბიჯებს გადადგამს.***

ჩვენთან მაშინ უკრაინელი მოხალისეები იბრძოდნენ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. დიდი მადლობა მათ, უკრაინელი მეომრები დაიღუპნენ. ჩვენ ისინი გვახსოვს და პატივს მივაგებთ, მაგრამ ამას ომის მიმდინარეობაზე რაიმე გავლენის მოხდენა არ შეეძლო.

– ომის დროს მსოფლიოს ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები ოფიციალურ მხარდამჭერ განცხადებებს თუ აკეთებდნენ?

***– განცხადებები, რეზოლუციები უამრავი იყო, მაგრამ ძალიან ზოგადი.***

– დღეს უკრაინას რომ ეხმარებიან (ოფიციალურად, ჯარით არა, მაგრამ იარაღით, სანქციებით ეხმარებიან და მკვეთრ განცხადებებს აკეთებენ), იმის მსგავსი საქართველოსთვის რამე გაკეთდა?

***– არავითარი სამხედრო დახმარება არ ყოფილა, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები მხარეებისადმი მშვიდობისკენ მოწოდებებს აკეთებდნენ. თუმცა, სავალდებულო შესასრულებელი არ ყოფილა. რამდენიმე ხელშეკრულება***



***დაიდო, რომელიც დაირღვა.***

ომი 14 აგვისტოს დაიწყო. მთელი საერთაშორისო საზოგადოება მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ ეს ომი საქართველომ დაიწყო, ანუ საქართველოს ომის დაწყებაში ადანაშაულებდნენ. 13 აგვისტოს პრაქტიკული კონფერენცია გვქონდა, სადაც წარმოდგენილი იქნა ისეთი ფაქტები, რომელიც ამტკიცებს, რომ მაშინ ჩვენ მახე დაგვიგეს და იმ მახეში გავებით, რასაც რუსეთი აკეთებდა.

რუსეთი ორივე მხარეს აიარაღებდა, ორივე მხარეს ომისკენ უბიძგებდა, ორივეს დახმარებას ჰპირდებოდა, ჩვენი შეიარაღებული ფორმირებები შეიტყუეს აფხაზეთში.

– თუმცა, ჩვენს ტერიტორიაზე.

***– რუსეთი პირველ ეტაპზე თითქოს საქართველოს მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებდა, სანამ დიდი სისხლი არ დაიღვარა. თუმცა, თავიდანვე სეპარატისტების მხარეს იყო. ეს არის გაკვეთილი, რომელიც 2008 წელს არ გაითვალისწინეს, დაახლოებით იგივე სცენარით შეგვიტყუეს ცხინვალში. ღრმად ვარ დარწმუნებული, მესამედ ასეთი რამ არ მოხდება.***

– 2008 წლის ომზეც იგივე გაკეთდა. სამწუხაროდ, მაშინდელმა ჩვენმა დელეგაციამ ხელი მოაწერა ევროსაბჭოს რეზოლუციას, რომ საქართველომ დაიწყო ომი და აკრძალული იარაღი გამოიყენა. ასევე, დახმარების მაგივრად, საქართველოს იარაღის შესყიდვაზე ემბარგო დაუწესდა. იგივე ამერიკას ჩვენთვის იარაღის შესყიდვაზე ემბარგო ჰქონდა დაწესებული, რომელიც 2014 წელს მოიხსნა.

ასეთი პოლიტიკით კონფლიქტი 30 წელი გაგრძელდა. რამდენი ხანი გაგრძელდება, არ ვიცით. თქვენ რეზოლუცია ახსენეთ, იმ რეზოლუციისთვის საქართველოს დელეგაციას არავითარ შემთხვევაში მხარი არ უნდა დაეჭირა. ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო. ვკითხულობ, ვინ შეადგინა დოკუმენტი, სადაც მსხვერპლი დამნაშავედაა გამოყვანილი?

***– არ მახსოვს, დოკუმენტი ვინ შეადგინა, მაგრამ ტალიავინის კომისიის დასკვნაშიც იგივე წერია.***

– დიახ, რეზოლუცია ტალიავინის კომისიის დასკვნიდან გამომდინარეობს, რომელიც საკუთარ ტერიტორიაზე ომის დაწყებაში ჩვენ გვადანაშაულებს, რაც წარმოუდგენელი და გაუგებარია, მაგრამ ეს ყველაფერი რუსეთის დაშოშმინების მიზნით გაკეთდა. დღეს ხომ ჩანს, რუსეთს რა დიდი აგენტურა ჰყავს ევროპაში.

წარმოიდგინეთ, რუსეთის სამსახურშია გერმანიის ყოფილი კანცლერი. როცა კანცლერი იყო, ალბათ, მაშინაც რუსეთის სამსახურში გახლდათ და დღესაც რუსეთის სამსახურშია. იტალიაში რამდენი აგენტი ჰყავთ, საფრანგეთში რამდენი... ასე მარტივად არ არის საქმე...

***– გერმანიის ყოფილი კანცლერი, მერკელი?***

– შრიოდერი. ტერმინი შრიოდერიზაცია ხომ იცით? მერკელის პოლიტიკამაც სადამდე მიიყვანა ევროპა, დღეს ხომ გამოჩნდა. მერკელია დამნაშავე, რომ დღეს ევროპა რუსულ გაზსა და ნავთობზეა დამოკიდებული. ომის შედეგებს ამიტომ ვიმკით.

***– ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის გაკეთება სწორედ მერკელის დამსახურებაა.***

– ჩრდილოეთ ნაკადი-2 და ჩრდილოეთ ნაკადი-1. შრიოდერთან მერკელის გათანაბრება არ შემიძლია, ამის თაობაზე ცნობები არ გამაჩნია. თუმცა, მთელ ევროპას და საკუთარ ქვეყანას, რუსეთისადმი ლოიალური დამოკიდებულებით ძალიან ცუდი სამსახური გაუწია. საიდან და როგორ გამდიდრდა რუსეთი და პუტინი? საიდან მოიტანა მან ის მილიარდები, რომელსაც დღეს უკრაინის წინააღმდეგ იყენებს?

პუტინს ბევრად მეტი ფული შემოსდის, ვიდრე უკრაინას დახმარების სახით. იმ პოლიტიკამ, რომელსაც ახორციელებდნენ ქალბატონი მერკელი და სხვა პოლიტიკოსები, აქამდე მიგვიყვანა.

***– ამბობენ, იმედი ბოლოს კვდებაო. გეოპოლიტიკური ცვლილებები, ან ვთქვათ, უკრაინაში მიმდინარე პროცესები, სავარაუდოდ, უკრაინის გამარჯვება, რაღაც იმედებს არ გისახავთ, რომ შეიძლება ისეთი ვითარება შეიქმნას, აფხაზეთი და ცხინვალი დავიბრუნოთ?***

– „ახალ თაობასთან“ ბევრი ინტერვიუ მქონდა. ჩვენ არაერთ ინტერვიუში გვისაუბრია იმაზე, რომ აფხაზეთის პრობლემის რეალური მოგვარება შესაძლებელი გახდება მაშინ, როდესაც სერიოზული გეოპოლიტიკური ძვრები მოხდება. ასეთი დრო კარზეა მომდგარი. ველოდებით ახალ მსოფლიო წესრიგს და საერთაშორისო სამართლის (რომელიც დღეს იგნორირებულია) ამოქმედებას, რუსეთის როლის მეორე-მესამე პლანზე გადასვლას და ასეთ ძირეულ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს (ეს პროცესი მიმდინარეობს), რომელმაც შეიძლება ისეთი პირობები შექმნას, რომ აფხაზეთი მშვიდობიანად დავიბრუნოთ.

***– თუ გაქვთ სათანადო კონტაქტები აფხაზურ საზოგადოებასთან იმ დროისთვის, როდესაც აფხაზეთის დაბრუნების პირობები შეიქმნება, იქ დასაყრდენი გვყავდეს?***

– ამაზე საუბარი ნაადრევია. კონტაქტები გვაქვს, მაგრამ დასაყრდენსა და პოლიტიკურ ძალაზე საუბარი ძალიან ადრეა. საერთოდ ასეთ პოლიტიკურ ძალას და დასაყრდენს აფხაზეთში იმ წამსვე გაანადგურებენ. ამის პირობები იქ არ არის. თუმცა, საზოგადოების დიდი ნაწილი კარგად ხედავს, მოვლენები საით მიდის. არავინ იცის, რა მოხდება უკრაინაში ომის შემდეგ.

# პირი, რომელმაც იერუსალიმში ავტობუსს ცეცხლი გაუხსნა, დაკავებულია



იერუსალიმში, ავტობუსზე თავდამსხმელი დაკავებულია. ის 26 წლის არაბი ამირ სიდაუია. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება.

მათივე ცნობით, დამნაშავის დაკავებას ისრაელის პოლიციის პრესსამსახურიც ადასტურებს.

პოლიციის ინფორმაციით, ტერორისტი პოლიციას თავად ჩაბარდა. სამართალდამცველებს ჩააბარა დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული იარაღი.

მანამდე გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქ იერუსალიმში, შეიარაღებულმა პირებმა სხვადასხვა ადგილზე ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც მინიმუმ შვიდი ადამიანი დაიღუპა.

დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს, ორი მათგანის მდგომარეობა კრიტიკულია.

# ნარკოდანაშაულისთვის თბილისში 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის თბილისში 1 პირი დააკავა. ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერებები:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული უკრაინის მოქალაქე ი.ბ. თბილისში დააკავეს. მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და უკანონო გასაღების მცდელობაში, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვაში ედება.

დანაშაული 14-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გამოავლინეს ერთ-ერთ ინტერნეტაპლიკაციაში მოქმედი ნარკორეალიზატორთა ორგანიზებული ჯგუფი და აღნიშნული ჯგუფის კურიერი – საქართველოში დროებით მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე ი.ბ. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული, 14 შეკვრად დაფასოებული სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს, მათ შორის „კოკაინი" და ფსიქოტროპული ნივთიერება „კეტამინი". საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში, დაკავებულის მიერ მითითებული ლოკაციიდან ასევე ამოღებულია შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული 1 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი".



პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: 385 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინის" შემცველი ფხვნილი, 443 გრამი ფსიქოტროპული ნივთიერება „კეტამინის" შემცველი ფხვნილი, 3 კილო და 152 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მდმა"-ს და ნარკოტიკული საშუალება „4-CMC"-ს შემცველი ფხვნილი, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მდმა"-ს შემცველი აბები – ე.წ. ექსტაზი, საერთო წონით 876 გრამი. აგრეთვე, ამოღებულია ელექტროსასწორი და ნარკოტიკული საშუალების დაფასოებისთვის საჭირო მასალები.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 19-260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 261-ე მუხლის მე-7 პუნქტით მიმდინარეობს.

# ცეცხლსასროლი იარაღის მესაკუთრეებს დროებითი მოწმობით ტირში ან სასროლეთში იარაღის გადატანის უფლება მიენიჭათ

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად, იმ პირებს, ვისაც შენახვის უფლებით აქვთ რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, დროებითი მოწმობის საფუძველზე, იარაღის ტირში ან სასროლეთში გადატანის უფლება მიენიჭათ.

შსს-ს ცნობით, დაინტერესებული პირები მომსახურების სააგენტოში შეძლებენ დროებითი მოწმობის მიღებას, რომლის საფუძველზეც უფლება ექნებათ, იარაღი ტირში ან სასროლეთში გადაიტანონ და შენახვის ადგილზე დააბრუნონ, არაუმეტეს კვირაში ერთხელ.

„ამ დრომდე, ტირში ან სასროლეთში იარაღის გადატანის შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობით არ არსებობდა, რაც იარაღის მესაკუთრეთა უკმაყოფილებას იწვევდა.

იარაღის დროებითი მოწმობით შესაძლებელი იქნება შენახვის უფლებით რეგისტრირებული არაუმეტეს ხუთი იარაღის გადატანა, ხოლო ტირის ან სასროლეთის მფლობელის თანხმობის შემთხვევაში, გადასატანი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნების (ერთ იარაღზე არაუმეტეს 50 ვაზნა) გადატანა ტირში ან სასროლეთში. იარაღის გადატანისას პირმა თან უნდა იქონიოს იარაღის დროებით მოწმობა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა.

იარაღის დროებითი მოწმობის მისაღებად მესაკუთრემ წერილობითი მოთხოვნით უნდა მიმართოს მომსახურების სააგენტოს. ტირში ან სასროლეთში იარაღის გადატანის მიზნით, იარაღის დროებითი მოწმობის საფასური წარმოადგენს ერთ ერთეულ იარაღზე 30 ლარი, ერთდროულად ორ ერთეულ იარაღზე–- 50 ლარი, ერთდროულად ორ ერთეულზე მეტ იარაღზე – 100 ლარი.

მომსახურების სააგენტო 3 სამუშაო დღის ვადაში გასცემს იარაღის დროებით მოწმობას, რომელშიც მითითებულია იარაღის ტირში ან სასროლეთში გადატანის და შენახვის ადგილზე დაბრუნების დროები.

ტირში ან სასროლეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ, ტირის ან სასროლეთის მესაკუთრე იარაღის დროებით მოწმობაში უთითებს ვიზიტის დასრულების დროს. იარაღის მესაკუთრე ვალდებულია, არაუგვიანეს მოწმობით განსაზღვრული დროისა, იარაღი და გამოუყენებელი ვაზნები დააბრუნოს შენახვის ადგილზე.



დროებითი მოწმობის გარეშე იარაღის გადატანა ან გადატანის სხვა წესების დარღვევა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ამასთანავე, მომსახურების სააგენტო აქტიურად მუშაობს ელექტრონული პროგრამის შემუშავებაზე, რომელიც უახლოეს მომავალში ამოქმედდება და შესაძლებელი გახდება იარაღის დროებითი მოწმობის ელექტრონულად გაცემა, ასევე, იარაღის გადატანის ეფექტიანი მონიტორინგი" – აცხადებენ სამინისტროში.

გარდა ამისა, შსს-ს ცნობით, უკვე ამოქმედდა ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესისა და დამატებითი სანებართვო პირობების დადგენის შესახებ მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის №162 დადგენილების ცვლილებები.

„აღნიშნული ცვლილებებით, მნიშვნელოვნად გამარტივდა ღია ტიპის ტირების, სასროლეთისა და სასროლო-სანადირო სტენდის ფუნქციონირების მიზნით შესაბამისი ნებართვის მიღების პირობები და პროცედურა.

მიღებული ცვლილებების თანახმად დადგინდა ნებართვის მიღების უფრო მოქნილი და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პირობები და პროცედურები.

ცვლილებებით გათვალისწინებულია ყველა ის მექანიზმი, რომელიც აუცილებელია პრევენციისა და უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების დასანერგად" – აცხადებენ შსს-ში.

# მარნეულში, მდინარე დებედაში 17 წლის მოზარდი დაიხრჩო




მარნეულში, მდინარე დებედაში 17 წლის მოზარდი დაიხრჩო. შემთხვევა მარნეულის სოფელ ალმამედლოში მოხდა.

ელმან გამბაროვი მდინარეში საბანაოდ შევიდა და უკან გამოსვლა ველარ შეძლო. მის დასახმარებლად ადგილზე მყოფები წყალში შევიდნენ, თუმცა, უშედეგოდ.

ადგილობრივები ამბობენ, რომ იმ ტერიტორიაზე ქვის ქარხნებია და სხვადასხვა გათხრები მიმდინარეობს, რის გამოც მდინარეს გარკვეულ ადგილებში სიღრმეები აქვს და სწორედ ერთ-ერთ ასეთ მონაკვეთში ჩავარდა ახალგაზრდა.

# ქობულეთში ახალგაზრდა კაცი მოკლეს



ქობულეთში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ. ი. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 13 აგვისტოს, ქობულეთში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით 2001 წელს დაბადებულ რ.ლ.-ს ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ახალგაზრდა მოგვიანებით სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ლ.ი. ცხელ კვალზე – მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს.

# შვილმა დანით დედა მოკლა, რაშიც მეგობარი ეხმარებოდა

## განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ორივე პირი დაკავებულია

შსს-ს ინფორმაციით, შვილმა დანით დედა მოკლა, რაშიც მეგობარი ეხმარებოდა – განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ორივე პირი დაკავებულია.

თბილისში მკვლელობა მოხდა. შსს-ს ინფორმაციით, შვილმა დანით დედა მოკლა, რაშიც მეგობარი ეხმარებოდა.

დანაშაულები 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული ნ.ხ. ოჯახის წევრის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ხოლო 2003 წელს დაბადებული რ.ნ. ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის დააკავეს.

დანაშაულები 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 13 აგვისტოს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, დედას – 1988 წელს დაბადებულ ჟ.ხ.-ს დანით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენაში ნ.ხ.-ს თავისი მეგობარი რ.ნ. ეხმარებოდა.

მიყენებული დაზიანებების შედეგად, ჟ.ხ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ნ.ხ. და რ.ნ. მომხდარიდან მალევე ბრალდებულის სახით დააკავეს.



გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-109-ე მუხლის „ი" ქვეპუნქტით და 109-ე მუხლის „ი" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობას და ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს"– აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ოზურგეთში ყოფილი ცოლის მკვლელობის ფაქტზე მამაკაცი დააკავეს

## ოზურგეთში ქალის მკვლელობისთვის დაკავებულ ყოფილ ქმარს უვადო პატიმრობა ემუქრება

შსს ცნობით, ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობის ბრალდებით 1984 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ი. ტ. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ოზურგეთში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილ მეუღლეს – 1984 წელს დაბადებულ შ.ზ.-ს ბასრი საგნის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა, რის შედეგადაც ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ ი.ტ. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავა. დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად არის ამოღებული.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „კ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# სოფელ არაშენდაში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე პოლიციამ 1 პირი დააკავა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდაში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე პოლიციამ ერთი პირი დააკავა.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულია 1969 წელს დაბადებული მ.ჩ.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თანასოფლელ მამაკაცს – 1975 წელს დაბადებულ ლ.ი.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.




პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო" – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს. დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მერი — ოკუპანტებმა ენერგოდარი დაბომბეს, არიან დაშავებულები



რუსმა ოკუპანტებმა ზაპოროჟიეს ოლქში, ატომურ ელექტროსადგურთან ახლოს ქალაქი ენერგოდარი დაბომბეს, — ინფორმაციას უკრაინული მედია ქალაქის მერზე, დიმიტრი ორლოვზე დაყრდნობით ავრცელებს.

მისივე თქმით, დაბომბვის შედეგად მშვიდობიანი მოქალაქეები დაშავდნენ.

მანამდე, ენერგოდარის ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელმა მოქალაქეებს სიფრთხილისკენ და ქალაქის ქუჩებში გამოსვლისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდეს.

## ეგვიპტის ერთ-ერთ ეკლესიაში ხანძრის შედეგად 41 ადამიანი დაიღუპა, არიან დაშავებულებიც



ეგვიპტის ქალაქ გიზაში ეკლესიაში გაჩენილი ხანძრის შედეგად სულ მცირე 41 ადამიანი დაიღუპა, — ინფორმაციას რეუტერსი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ცნობით, დაშავებულია კიდევ 45 ადამიანი.

ელექტრომოწყობილობის გაუმართაობით გამოწვეული ხანძარი მაშინ გაჩნდა, როდესაც აბუ სიფინის ეკლესიაში 5 000-მდე მლოცველი იყო შეკრებილი. ხანძარს ეკლესიაში ჭყლეტა მოჰყვა.

## ერევანში სავაჭრო ცენტრში აფეთქება მოხდა, არიან დაშავებულები



ერევნის სავაჭრო ცენტრ „სურმალუში" ძლიერი აფეთქება მოხდა, რასაც ხანძარი მოყვა.

საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ინფორმაციით, ადგილზე რვა სახანძრო-სამაშველო ჯგუფი გავიდა.

უწყების ინფორმაციით, ხანძარს სირთულის მეორე ხარისხი მიენიჭა.

ადგილობრივი მედია იუწყება, რომ მომხდარი აფეთქების შედეგად არიან დაშავებულები. ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფებია მობილიზებული.

## ლატვიის პრეზიდენტი: „რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების შეწყვეტაზე მსჯელობა აუცილებელია"



ლატვიამ ფინეთთან, ესტონეთთან, ჩეხეთთან და სხვა ქვეყნებთან ერთად, ევროკავშირის დონეზე უნდა წამოწიოს მოთხოვნა რუსეთის მოქალაქეებისთვის ტურისტული ვიზების შეწყვეტის შესახებ. ამის შესახებ ლატვიის პრეზიდენტმა ეგილ ლევიტსმა განაცხადა.

— ეს იქნება დამატებითი სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ რიგი ევროპული ქვეყნებისა, სადაც რუსი ტურისტები მეტ ფულს ტოვებენ, ასეთ წინადადებას არ მიესალმება. ამაზე ეჭვი გერმანიის კანცლერმაც გამოთქვა. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ამაზე საუბარი აუცილებელია" — განაცხადა ლევიტსმა.

მანვე აღნიშნა, რომ ბინადრობის უფლება და ვიზები, რომლებიც უკვე გაცემულია ლატვიის მიერ, უნდა გაუქმდეს მათთვის, ვინც რუსეთის აგრესიას მხარს უჭერს.

— თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ისინი აღარც უნდა გაგრძელდეს, გარდა შემთხვევებისა, როდესაც გარკვეულ საქმეებზე არსებობს განსაკუთრებული მდგომარეობა. ბინადრობის ნებართვა აღარ გაიცემა ლატვიაში მუდმივად მცხოვრებლებზე, რომლებიც მომავალში მიიღებენ რუსეთის მოქალაქეობას. მათ მოუწევთ ჩვენი ქვეყნის დატოვება, — განაცხადა პრეზიდენტმა.

## მაკრონმა ფინეთისა და შვედეთის ნატო-ში გაწევრიანების შესახებ დოკუმენტს ხელი მოაწერა



საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა, შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანების რატიფიკაციის პროტოკოლს ხელი მოაწერა, — ინფორმაციას მედია საშუალებები ელისეს სასახლეზე დაყრდნობით ავრცელებენ.

მანამდე, საფრანგეთის პარლამენტმა აღნიშნული ორი ქვეყნის ალიანსში მიღების გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა.

შეგახსენებთ, მაისში, უკრაინაში რუსეთის ომის ფონზე, ფინეთმა და შვედეთმა ნატო-ში განაცხადის შეტანის ოფიციალური პროცესი დაიწყეს. ფინეთისა და შვედეთის ალიანსის გაწევრიანებისთვის ბლოკის ყველა წევრის თანხმობაა საჭირო. რატიფიცირების პროცესი ალიანსის 30 ქვეყნიდან 20-ზე მეტმა განახორციელა.

## პრემიერობისთვის ბრძოლაში ლიზ ტრასი კონკურენტს უსწრებს



ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლიზ ტრასი დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრობისთვის ბრძოლაში 22 პროცენტით უსწრებს რიში სუნაკს. ასეთი შედეგი აჩვენა კონსერვატიული პარტიის წევრების გამოკითხვამ, რომელიც Opinium Research-მა ჩაატარა.

450 პარტიის წევრს შორის, რომელთაც უკვე გადაწყვიტეს, როგორ მისცენ ხმა მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებში, ტრასმა 61% მოიპოვა, ხოლო ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა სუნაკმა — 39%.

ტრასის მხარდაჭერის ძირითადი მიზეზები იყო სუნაკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, საგარეო საქმეთა მინისტრისადმი ნდობა და ბორის ჯონსონის ერთგულება. სუნაკის მხარდამჭერებმა განაცხადეს, რომ ის ყველაზე კარგად ერკვევა ეკონომიკაში და იყო ყველაზე კომპეტენტური ყველა კანდიდატს შორის. ახალი პრემიერისთვის ხმის მიცემა ფოსტით ხდება, გამარჯვებული 5 სექტემბერს გამოვლინდება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

### კალეიდოსკოპი

## 106 წლის ქალმა დაბადების დღე შიშველ ოფიციანტთან ერთად იზეიმა



დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლინკოლნის მკვიდრმა დღეგრძელმა ქალბატონმა ნორა შოუმ თავისი 106-ე დაბადების დღე თითქმის სრულიად შიშველ ოფიციანტთან ერთად იზეიმა.

ქალი 2021 წლიდან ბრიტანეთის აღმოსავლეთ მიდლენდის რეგიონში მოხუცებულთა სახლში ცხოვრობს. დაბადების დღეს ნორა შოუ 32 წლის ოფიციანტმა ედი ბეტერიჯმა გააკვირვა, რომელიც ზეიმზე მხოლოდ წინსაფარსა და ჰალსტუხში გამოწყობილი ესტუმრა.

ქალის თქმით, ის ყველაზე მეტად იმან კი არ გააკვირვა, რომ მამაკაცს ტანსაცმელი არ ეცვა, არამედ იმან, რომ მას მკერდზე ერთი თმის ღერიც კი არ ჰქონდა.

— მსგავსი რამ არასოდეს მინახავს, — აღიარა დღეგრძელმა ქალბატონმა.

მთელი საღამოს განმავლობაში ბეტერიჯი იუბილარს ემსახურებოდა. ქალს აწვდიდა სენდვიჩებს, ნამცხვრებსა და შამპანურს.

106 წლის ქალბატონს ეს უჩვეულო სიურპრიზი მისმა 67 წლის ქალიშვილმა მოუწყო. ბეტერიჯის მიწვევის იდეა მას მას შემდეგ დაებადა, როდესაც შოუმ ხუმრობით უთხრა, რომ სურდა მის ზეიმს „ლამაზი მამაკაცი" დასწრებოდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ბუდუ ზივზივაძე: „შევეცდები გოლები კიოლნსაც გავუტანო"



საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ბუდუ ზივზივაძე ჩინებულ ფორმაშია. უნგრული ფეჰერვარის 28 წლის ფორვარდმა ახალი სეზონის 6 მატჩში 6 გოლი გაიტანა.

კონფერენსლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში გამოირჩა, სტუმრად მოლდოვურ პეტროკუბთან (2:1) სულაც 2 შეაგდო.

მოლდოვაში ჩატარებული მატჩის შემდეგ ზივზივაძის ინტერვიუ უნგრულ მედიაში დაიბეჭდა.

**ბუდუ ზივზივაძე:**

— კონფერენსლიგაში გამართული მატჩი ჩემთვის ბევრს ნიშნავდა. ფეჰერვარის მაისურით ეს ჩემი პირველი დუბლი იყო. რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი ვარ. იმედი მაქვს, ეს დუბლი პირველი და უკანასკნელი არ იქნება. ამის მჯერა, რადგან თანაგუნდელებისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ და კარგი გუნდის ნაწილია. ეს პეტროკუბთანაც გამოჩნდა. დაცვა კარგად მოქმედებდა, ჩვენი შეტევის ხაზი კი ეფექტური იყო.

ფეჰერვარს მომდევნო მატჩი უნგრეთის ჩემპიონატის მე-3 ტურში, სტუმრად, გასული სეზონის ჩემპიონ ფერენცვაროშთან უწევს, შემდეგ კი, ზივზივაძის გუნდი კონფერესლიგის პლეი ოფის პირველ მატჩში კიოლნს გერმანიაში უნდა ესტუმროს.

— მოლდოვაში დამსახურებულად მოვიგეთ, მაგრამ მე-2 დღეს იმაზე ფიქრით გავიღვიძეთ, რომ ეს თამაში წარსული იყო და წინ სერიოზული გამოცდები გველის. ფერენცვაროშს ვეთამაშებით და ვფიქრობ, არ არის საჭირო იმის ახსნა, თუ რაოდენ რთული მატჩი გველოდება. შემდეგ ფლეი ოფის მატჩია კიოლნთან. რას ვიზამთ, შებრალება არავისგან გვჭირდება, ეს ის მატჩებია, რომლებსაც ყველა ფეხბურთელი მოუთმენლად ველოდებით.

ბუდუმ საკუთარ შედეგიანობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სურს, გოლები მომავალ მატჩებშიც გაიტანოს და დასძინა, რომ როგორც ფერენცვაროშის, ისე კიოლნის წინააღმდეგ სათამაშოდ, ყოველგვარი შიშის გარეშე გავლენ და გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოლებენ.

— ჩემპიონატის გათვალისწინებით, სეზონის 6 მატჩში 6 გოლი გავიტანე, რაც იმაზე მეტია, ვიდრე ვვარაუდობდი. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ბევრს ვმუშაობდი, რათა კარგ ფორმაში ვყოფილიყავი. საიდუმლო არავისთვისაა, რომ მინდა იგივე გავაგრძელო, რაც ხუთშაბათს დავიწყე, თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ ფერენცვაროში გაცილებით ძლიერი გუნდია, ვიდრე პეტროკუბი იყო. აღარაფერს ვამბობ კიოლნზე. თანაც ამ ორივე მატჩის ჩატარება სტუმრად, აუცილებლად ანშლაგის პირობებში მოგვიწევს.

საშიში არაფერია, ფეხბურთელს ჟინი მხოლოდ ემატება, როდესაც გადაჭედილი სტადიონის მინდორზე გადის. ფერენცვაროშის წინააღმდეგ სათამაშოდ მხოლოდ მოგების წყურვილით გავალთ და ბოლო ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებთ. ეს დიდი მატჩი იქნება. 3 ქულა ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

თითოეულ თამაშში გამარჯვება გვწადია. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ საბოლოო ჯამში გამარჯვებულები ვერ გამოვიდეთ, მაგრამ შემიძლია პირობა მოგცეთ, რომ იმავე კიოლთან წარმატებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ფავორიტები არ ვართ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ლიგის — ბუნდესლიგის გუნდთან დაპირისპირებაში, მაგრამ ფეხბურთში სასიამოვნო სწორედ ის არის, რომ საბოლოო შედეგი არა ფურცელზე, არამედ მოედანზე განისაზღვრება, იქ კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

შეგახსენებთ, ზივზივაძე უნგრეთში მე-4 სეზონს ატარებს. 2020 წლის ზაფხულიდან ფეჰერვარის ღირსებას იცავს, მაგრამ გასული სეზონის მე-2 ნახევარი იჯარით უიპეშტში გაატარა, რის შემდეგაც კლუბში დაბრუნდა.

თავდამსხმელს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 13 მატჩში 3 გოლი აქვს გატანილი.

## ოქროს ბურთის ნომინანტთა შორის მესი არ ფიგურირებს



17 ოქტომბერს ფრანს ფუტბოლი ოქროს ბურთის მფლობელს გამოავლენს. მანამდე კი ცნობილი არის 30 ნომინანტი, რომელთაგანაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ერთი გახდება.

აღსანიშნავია, რომ ნომინანტთა შორის არ არის ლეო მესი. არგენტინელი შემტევი, 2005 წლის შემდეგ, პრეტენდენტებში პირველად ვერ მოხვდა. მესის ოქროს ბურთი 7-ჯერ აქვს მოგებული და ამ მხრივ მიუწვდომელია.

მესამე შემთხვევაა, როდესაც ჯილდოს წინა წლის მფლობელი ნომინანტთა შორის ვერ მოხვდა — 1993 წელს მარკო ვან ბასტენი და 2019 წელს ლუკა მოდრიჩი.

ზედიზედ მეთვრამეტედაა ნომინატთა სიაში კრიშტიანუ რონალდუ.

**ოქროს ბურთის მაძიებელთა შორის 2 მეკარეა, 4 მცველი, 9 ნახევარმცველი და 15 თავდამსხმელი. სრული სია კი, ასეთია:**

**მეკარეები:** ტიბო კურტუა (რეალი, ბელგია), მიკ მენიანი (მილანი, საფრანგეთი);

**მცველები:** ტრენტ ალექსანდერ-არნოლდი (ლივერპული, ინგლისი), ჟოაო კანსელუ (მანჩესტერ სიტი, პორტუგალია), ანტონიო რუდიგერი (რეალი, გერმანია), ვირჯილ ვან დეიკი (ლივერპული, ნიდერლანდები);

**ნახევარმცველები:** ჯოშუა კიმიჰი (ბაიერნი, გერმანია), კრისტოფერ ნკუნკუ (ლაიფციგი, საფრანგეთი), კაზემირო (რეალი, ბრაზილია), ფაბინიო (ლივერპული, ბრაზილია), კევინ დე ბრუინი (მანჩესტერ სიტი, ბელგია), ბერნარდო სილვა (მანჩესტერ სიტი, პორტუგალია), ფილიპ ფოდენი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), რიად მარეზი (მანჩესტერ სიტი, ალჟირი), ლუკა მოდრიჩი (რეალი, ხორვატია);

**თავდამსხმელები:** რაფაელ ლეაო (მილანი, პორტუგალია), მოჰამედ სალაჰი (ლივერპული, ეგვიპტე), ლუის დიასი (ლივერპული, კოლუმბია), ვინისიუს ჟუნიორი (რეალი, ბრაზილია), რობერტ ლევანდოვსკი (ბარსელონა, პოლონეთი), ქარიმ ბენზემა (რეალი, საფრანგეთი), კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერი, პორტუგალია), ერლინ ჰოლანი (მანჩესტერ სიტი, ნორვეგია), სებასტიენ ალე (დორტმუნდი, კოტ დივუარი), ჰარი კეინი (ტოტენჰემი, ინგლისი), სადიო მანე (ბაიერნი, სენეგალი), კილიან მბაპე (პსჟ, საფრანგეთი), დარვინ ნუნიესი (ლივერპული, ურუგვაი), სონ ჰინ მინი (ტოტენჰემი, ს.კორეა), დუშან ვლაჰოვიჩი (იუვენტუსი, სერბეთი).

ცხადია, ოქროს ბურთის შვიდგზის გამარჯვებულის 30 ნომინანტს მიღმა დარჩენამ გულშემატკივრებს შორის ვნებათაღელვა გამოიწვია. შედეგად, ფრანს ფუტბოლი იძულებული გახდა არგენტინელის განაცხადს მიღმა დატოვების მიზეზები აეხსნა.

მესის არყოფნის პირველი მიზეზი წესების ცვლილებაა — ფეხბურთელის შერჩევის კრიტერიუმები საფეხბურთო სეზონზეა დაფუძნებული და არა კალენდარული წელზე. გამოცემა აღნიშნავს, რომ მესის პირველი სეზონი ლიგა 1-ში არც ისე შთამბეჭდავი იყო, ჩემპიონატში მხოლოდ 6 გოლის გატანა შეძლო, ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლას კი, მადრიდის რეალთან მერვედფინალიდან გამოეთიშნენ.

რაც შეეხება რონალდუს მოხვედრას, სხვა ფრანგულმა გამოცემამ — ეკიპმა ასე ახსნა.

— ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პორტუგალიელმა 6 გოლი გაიტანა და მანჩესტერელები მერვედფინალში გაიყვანა. პორტუგალიელმა ყველა ტურნირზე ჯამში 49 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 32 გოლის გატანა მოახერხა. მართალია, რონალდო ოქროს ბურთისთვის ბრძოლაში ფავორიტად არ მოიაზრება, მაგრამ საუკეთესო 30-ეულში ყოფნას იმსახურებდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

### კალეიდოსკოპი

## მეთევზემ 180-კილოგრამიანი ჰალიბუტი დაიჭირა



აღმოსავლეთ ინგლისის რეგიონის ქალაქ ნორიჯის მკვიდრმა მეთევზემ ნორვეგიაში უზარმაზარი ჰალიბუტი დაიჭირა.

45 წლის ბრიტანელმა პოლ სტივენსმა 180-კილოგრამიანი ორი მეტრი სიგრძის ჰალიბუტი დაიჭირა. ეს ამ სახეობის ყველაზე დიდი თევზია მათ შორის, რომელიც კი ოდესმე დიდი ბრიტანეთის მცხოვრებს დაუჭერია. სავარაუდოდ, მისი ასაკი 90 წელია.

ბრიტანელმა მეთევზემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის ანკესზე წამოგებულმა თევზმა მისი ნავი დაახლოებით კილომეტრნახევარზე ათრია.

— ამის შემდეგ კიდევ სამი დღე მტკიოდა მხრები, — აღნიშნა სტივენსმა, რომელმაც ნადავლი ისევ ბუნებაში დააბრუნა, რომ მან გამრავლება გააგრძელოს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# საქართველო ისრაელთან ორჯერ დამარცხდა

– თანახმა ვარ, ყველა მოსამზადებელი მატჩი წავაგოთ და მერე, როცა მოგებას დიდი ფასი დაედება, მაშინ მოვიგოთ – ეს სიტყვები საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ილიას ზუროსს ეკუთვნის და ჩვენი ნაკრებიც მის სიტყვებს მიჰყვება. ორჯერ უნგრეთთან დამარცხების შემდეგ ზუროსის გუნდი ორჯერ ისრაელთან დამარცხდა.

– ეს იყო გაკვეთილი, კარგი გაკვეთილი, თუ როგორ არ უნდა ვითამაშოთ დაცვაში – ეს სიტყვები კი ზუროსმა პირველი მატჩის შემდეგ თქვა, რომელიც ჩვენებმა 96:104 დათმეს.

საქართველოს ნაკრებმა ისრაელთან დაცვაში მართლაც მოიკოჭლა. თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრაში ზუროსის გუნდმა 12 სამქულიანი მიიღო, ებრაელებმა ჯამში 36 შედეგიანი პასი გააკეთეს და მე-4 პერიოდში სტუმართა ლიდერობამ 20 ქულას მიაღწია. ებრაელები თამაშობდნენ სწრაფად და შედეგიანად, საქართველოს ნაკრებს კი, სტაბილურად და საიმედოდ გარჯა უჭირდა. პერიოდულად ჩვენები ძალიან კარგად ირჯებოდნენ და სოლიდურ ჩამორჩენას ამცირებდნენ, მაგრამ მე-3 პერიოდის მე-2 ნახევარში ქართველებს, რომ იტყვიან, თამაში გაექცათ და ისრაელმა გასამარჯვებლად საკმარის უპირატესობას მიაღწია.

ზუროსს კალათბურთელთა გამოცდის, სხვადასხვა სათამაშო ტაქტიკის დამუშავების საშუალება მიეცა და ზოგადად, რისთვისაც ამხანაგური მატჩები იმართება, იმ დანიშნულებით სასარგებლოდ გამოიყენა. ბოლო წუთებზე საქართველოს ნაკრებმა ჩვეულად შეუტია და დაცვაც ხარისხიანად დააყენა, ჩამორჩენაც მნიშვნელოვნად შემცირდა.

ჩვენს ნაკრებში ყველაზე შედეგიანი იყო თორნიკე შენგელია, რომელმაც 26 ქულა, 9 პასი და 6 მოხსნა მიითვალა. 16 ქულა, 9 მოხსნა და 4 პასი გიორგი შერმადინის ანგარიშზეა, დუდა სანაძემ თავი 15 ქულას მოუყარა. 13 ქულა თად მაკფადენმა მოაგროვა.

ისრაელთან მე-2 ტესტ-მატჩში საქართველომ 2 განსხვავებული ტაიმი ითამაშა. ჩვენი გუნდი პირველ ტაიმში მეტოქეს სჯობდა, რაც სწორი დაცვისა და მოედანზე გააზრებული მოქმედების შედეგი გახლდათ, ხოლო მეორეში მოწოდების სიმაღლეზე ველარ იყო, გარკვეული ტაქტიკური შეცდომები დაუშვა და საბოლოოდ 68:81 დამარცხდა.

პირველი პერიოდი ქართველებმა 22:18 მოიგეს, მეორეში კიდევ უფრო იყოჩაღეს და მეტოქე 9 ქულით – 41:34 ჩამოიტოვეს.

მე-3 პერიოდში საქართველოს ნაკრებს ჩავარდნა ჰქონდა – ათწუთეული ქართველებმა 14:28 წააგეს და ბოლო პერიოდის წინ 7 ქულით – 55:62 ჩამორჩნენ. შეხვედრის დასრულებამდე 3 წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა და სტუმრები 4 ქულით იგებდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში კაპიტნისა და ლიდერის, თორნიკე შენგელიას გარეშე მოთამაშე ქართველებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს და საბოლოოდ 13 ქულით დამარცხდნენ.

შენგელიას უთამაშებლობა მწვრთნელების მხრიდან კალათბურთელის დასვენებით იყო გამოწვეული და გუნდის ლიდერს არაფერი აწუხებს.

ორივე გუნდის შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი სანდრო მამუკელაშვილი იყო, რომელმაც 16 ქულა, 10 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. 15 ქულა და 9 მოხსნა გიორგი შერმადინის ანგარიშზეა.




**ილიას ზუროსი:**

– ეს ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იყო. მე ვთქვი, რომ ჩვენი თამაში უნდა გავაუმჯობესოთ. სხვა დროს დაცვა უკეთ უნდა ვითამაშოთ. თუ დაცვას კარგად არ ვითამაშებთ, შანსი არც ერთ მატჩში არ გვექნება. დაცვას მოაქვს გამარჯვებები, ევრობასკეტსა და მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებში კარგი დაცვა უნდა ვითამაშოთ. მჯერა, რომ შეტევაში საქმე კარგადაა.

ძალიან ცოტა დროა, რაც სანდრო ჩვენთანაა. მან კარგად ითამაშა. ეს ამხანაგური მატჩები იყო – თამაშები, რომელიც პრობლემების გადასაჭრელად უნდა გამოვიყენოთ, რათა საჭირო დროს მზად ვიყოთ.

ამ ეტაპზე გოგაზე საუბარი არ შეგვიძლია. იმ კალათბურთელებზე საუბარი შემიძლია, რომლებიც აქ არიან. ისინი კარგად ვარჯიშობენ და ბოლომდე ინდომებენ. გოგა მზად იქნება და არ ექნება პრობლემები.

**გიორგი შერმადინი:**

– მართალია, ამხანაგური თამაშები იყო, მაგრამ წავაგეთ და ეს გულდასაწყვეტია. გამოჩნდა, რომ დაცვაში დიდი პრობლემა გვაქვს. ზუროსმაც გასახდელში თქვა, რომ მატჩები დაცვით უნდა მოვიგოთ. მაგალითად, პირველ მატჩი 96 ქულა ჩავაგდეთ და ასეთ თამაშს უნდა ვიგებდეთ.

**თორნიკე შენგელია:**

– ამხანაგურია თუ ოფიციალური მატჩი, ყველა მოსაგებია და ეს შედეგი რთული მისაღებია. მიმაჩნია, რომ საპანიკო არაფერია. დაცვაში დაშვებული შეცდომები უნდა გამოვასწოროთ, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

**სანდრო მამუკელაშვილი:**

– მიუჩვეველი ვარ ასეთ კალათბურთს, რადგანაც ამერიკაში უფრო აგრესიული თამაშია. ბიჭებმა ხელი შემიწყვეს, ძალიან დამეხმარნენ. ძალიან კარგი გუნდი ვართ, თამაშის გაუმჯობესებაც შეგვიძლია. როგორც კალათბურთელი, მზად უნდა იყო სხვა პოზიციაზე თამაშისთვის. ზუროსმა მომცა ამის საშუალება. გუნდი დამეხმარა, რომ სწორ ადგილას ვყოფილიყავი.

ამით საქართველოს ნაკრებმა თბილისში ამხანაგური მატჩები დაასრულა და დღეს ათენში გაემგზავრება, სადაც აკროპოლისის თასზე იასპარეზებს. საბერძნეთის დედაქალაქი ტურნირს 31-ედ მასპინძლობს და 2017 წელს საქართველოს ნაკრებსაც მოგებული აქვს, როცა სერბეთი და საბერძნეთი დაამარცხა, თავად იტალიასთან კი წააგო, მაგრამ თასი მაინც საქართველოში ჩამოიტანა.

**წლეულს საქართველო მეორედ იასპარეზებს აკროპოლისის თასზე, განრიგი კი ასეთია:**

**17 აგვისტო:** თურქეთი-საქართველო;
**18 აგვისტო:** საქართველო-საბერძნეთი;
**19 აგვისტო:** საქართველო-პოლონეთი.

20-23 აგვისტოს ილიას ზუროსის გუნდი თბილისში კიდევ ერთხელ შეიკრიბება, შემდეგ კი, უკვე მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებია: 24 აგვისტოს შინ, ნიდერლანდებთან და 27-ში, სტუმრად იტალიასთან.

28-31 აგვისტოს თბილისში დასკვნითი შეკრება იგეგმება, რასაც ევრობასკეტი 2022 მოჰყვება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

### 13 აგვისტო

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ევერტონი | 2:1 |
| არსენალი-ლესტერი | 4:2 |
| ბრაიტონი-ნიუკასლი | 0:0 |
| ვულვზი-ფულემი | 0:0 |
| სიტი-ბორნმუთი | 4:0 |
| საუთჰემპტონი-ლიდსი | 2:2 |
| ბრენტფორდი-მანჩესტერი | 4:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| კარდიფი-ბირმინგემი | 1:0 |
| ბლექპული-სუონსი | 0:1 |
| ლუთონი-პრესტონი | 0:1 |
| მილუოლი-ქოვენთრი | 3:2 |
| როტერჰემი-რედინგი | 4:0 |
| სანდერლენდი-ქპრ | 2:2 |
| უიგანი-ბრისტოლი | 1:1 |
| ჰადერსფილდი-სტოკი | 3:1 |
| ჰალი-ნორვიჩი | 2:1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-აუგსბურგი | 1:2 |
| ვერდერი-შტუტგარტი | 2:2 |
| ჰერტა-აინტრახტი | 1:1 |
| ლაიფციგი-კიოლნი | 2:2 |
| ჰოფენჰაიმი-ბოხუმი | 3:2 |
| შალკე-გლადბახი | 2:2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| არმინია-ჰამბურგი | 0:2 |
| კარლსრუე-ზანდჰაუზენი | 3:2 |
| კილი-ბრაუნშვაიგი | 3:0 |
| დარმშტადი-ჰანზა | 4:0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სელტა-ესპანიოლი | 2:2 |
| ვალიადოლიდი-ვილიარეალი | 0:3 |
| ბარსელონა-რაიო | 0:0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეიბარი-ტენერიფე | 2:1 |
| მირანდესი-ხიხონი | 1:1 |
| ლეგანესი-ალავესი | 1:2 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| მილანი-უდინეზე | 4:2 |
| სამპდორია-ატალანტა | 0:2 |
| ლეჩე-ინტერი | 1:2 |
| მონცა-ტორინო | 1:2 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| კომო-კალიარი | 1:1 |
| პალერმო-პერუჯა | 2:0 |
| ჩიტადელა-პიზა | 4:3 |

**საფრანგეთი. ლიგა 1**

| | |
|---|---|
| მონაკო-რენი | 1:1 |
| პსჟ-მონპელიე | 5:2 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

| | |
|---|---|
| გენგამი-პარიზი | 0:0 |
| ანსი-ლავალი | 0:1 |
| ბორდო-ნიორი | 1:0 |
| ლე ავრი-პო | 1:1 |
| დიჟონი-კაენი | 2:2 |
| მეცი-ვალანსიენი | 2:0 |

**მეცის მე-2 გოლი გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა**

| | |
|---|---|
| ნიმი-როდეზი | 1:0 |
| ბასტია-გრენობლი | 3:0 |
| სოშო-ამიენი | 0:1 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

| | |
|---|---|
| იგლზი-პსვ | 2:5 |
| უტრეხტი-კამბური | 0:0 |
| ემენი-ვალვაიკი | 1:1 |
| ფეიენოორდი-ჰერენვენი | 0:0 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

| | |
|---|---|
| კასა პია-ბენფიკა | 0:1 |
| სპორტინგი-რიუ ავე | 3:0 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვესტერლო-სტანდარდი | 4:2 |
| სერენი-შარლერუა | 0:1 |
| სერკლი-მეხელენი | 0:0 |
| სენ ჟილუა-კორტრაიკი | 2:1 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუსტრია-ტიროლი | 2:1 |
| კლაგენფურტი-რიდი | 1:0 |
| შტურმი-ალტახი | 4:0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| აბერდინი-მოზერველი | 2:3 |
| ლივინგსტონი-ჰიბერნიანი | 2:1 |
| რეინჯერსი-სტ.ჯონსონი | 4:0 |
| სტ.მირენი-როსი | 1:0 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ქაისერი-ბაშაქშეჰირი | 1:0 |
| ადანა-სივასი | 3:0 |
| გალათასარაი-გირესუნი | 0:1 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სიონი-გრასჰოპერსი | 2:2 |
| სტ.გალენი-ლუცერნი | 4:1 |

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ბანიკი-ზლინი | 3:1 |
| ბრნო-ბოლესლავი | 3:1 |
| ტეპლიცე-ბოჰემიანსი 1905 | 0:1 |
| ჰრადეც კრალოვე-პლზენი | 1:2 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| კრაკოვია-პიასტი | 0:1 |
| გურნიკი-სტალი | 1:3 |
| პოგონი-პლოცკი | 2:2 |

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კეჩკემეტი-მეზეკოვეშდი | 1:0 |
| უიპეშტი-ზალაეგერსეგი | 1:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ჰელსინბორგი-სირიუსი | 0:0 |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| ალესუნდი-ჰაუგესუნდი | 1:2 |

## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## სამგლოვიარო განცხადებები

### კარლო ტალახაძის გახსენება



15 აგვისტოს 40 დღე შესრულდა უკეთილშობილესი, შესანიშნავი პიროვნების კარლო ტალახაძის გარდაცვალებიდან. უფალმა ღვთიური მადლით დაგაჯილდოვა. ძნელად მოსაძებნია ქალაქი თუ რეგიონი, შენი კეთილი კვალი რომ არ დაგეტოვებინა – სამსახურში, ნათესავებში, მეგობრებში, მეზობლებსა და შენს პირად მკურნალ მედპერსონალში.

დიდთან დიდი იყავი და პატარასთან პატარა. ღმერთი ფარავდეს შენს დიდ ოჯახს – ოჯახის დედაბოძს, შენს მეუღლეს, თამუნის შვილებით, ირაკლის, მალხაზს, ლევანსა და შენს მრავალრიცხოვან შვილიშვილებს. დალოცვილი გიმყოფოს უფალმა!

ღმერთმა მარადისობაში ამყოფოს შენი კეთილი და უკვდავი სული!

*ოჯახის უახლოესი მეგობრები – იმნაძეების ოჯახი*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 2. მართალი, პატიოსანი ადამიანი; 3. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 4. ქვით ნაგები ღობე; 5. ვულკანი სიცილიაში; 6. სრული უწესრიგობა, არეულობა; 9. რაიმე უფლების ან რწმუნების კანონიერების დამტკიცება; 10. ფრანგული არაყი; 11. უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 14. მარადმწვანე ხე, ბუჩქი; 16. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 18. უმოტორო თვითმფრინავი; 20. კოსმოსში გაგზავნილი ქართული ხალხური სიმღერა; 23. ქართული ხალხური თამაში ბურთით; 24. მანძილის საზომი ერთეული ბრიტანეთსა და აშშ-ში; 25. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 26. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

**თარაზულად:** 7. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 8. ბალნეოლოგიური კურორტი აზერბაიჯანში; 12. მდინარე რომში; 13. სათამაშო ქაღალდი; 15. გარეული ცხოველი, აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო; 17. აეროპორტი რომში; 19. იორდანიის დედაქალაქი; 21. ჭადრაკის ფიგურა; 22. ხრახნული კონვეიერი; 27. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 28. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი, მოქანდაკე.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. წიდა; 2. ალუვი; 3. კიევო; 5. ამპერი; 6. კიმიგაიო; 9. კონსილიუმი; 10. ბალახვანი; 11. სეგიდელია; 14. ემუ; 16. გვრინი; 18. ხადა.

**თარაზულად:** 1. წიქარა; 4. აკაპულკო; 7. მუხაძე; 8. ვენდეტა; 12. უნცია; 13. ლეკალო; 15. სალაპი; 17. სია; 19. კულტივატორი; 20. ბიეფი; 21. ოაზისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თოიძე; 2. კიური; 3. პერგოლა; 4. ჩოხა; 5. ფიტი; 6. ანოსმია; 9. ვარდოსანიძე; 10. ბრაკერაჟი; 11. გერიატრია; 14. დუვრი; 16. ცეისი; 18. დიუპონი; 20. ეფემერა; 23. არვე; 24. ვარნა; 25. ფშავი; 26. ლიდა.

**თარაზულად:** 7. ფენოლოგია; 8. ხუზისტანი; 12. გაგრა; 13. გეიმი; 15. რადიო; 17. ველასკესი; 19. ცენტი; 21. ბურჟე; 22. დიჯეი; 27. ანტიკვარი; 28. ბაღდადური.

ახალი თაობა
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7089

ევრო — 2.7880

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2829

100 რუსული რუბლი — 4.4083

## ამინდის პროგნოზი 15 აგვისტოსათვის




## ხავი: „საუკეთესო თამაში არ გვქონია“



ბარსელონამ ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში საკუთარ მოედანზე რაიო ვალეკანოს დამარცხება ვერ შეძლო და მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. ხავიმ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მის გუნდს ბევრ ასპექტში აქვს მოსამატებელი და მათ ბევრი უნდა იმუშაონ: „როდესაც ბურთი გვაქვს, ეფექტურები არ ვართ და ამაზე აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება. რაიო თავს კარგად იცავდა, მაგრამ ეს ჩვენ არ გვამართლებს. გულშემატკივარს მოთმინებისკენ მოვუწოდებ“.

## კრიშტიანო რონალდუ მანჩესტერიდან წასვლაზე ფიქრობს



მანჩესტერ იუნაიტედმა სეზონი საშინლად დაიწყო და გუნდმა ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო პრემიერლიგაში, რის შემდეგაც, ბუნებრივია, გუნდის კრიზისზე დაიწყო საუბრები. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც კრიშტიანო რონალდუს გუნდის დატოვება სურს და ამას მხოლოდ იმიტომ არ აკეთებს, რომ ჯერჯერობით მან შესაბამისი კლუბი ვერ მოძებნა. რონალდუ პორტუგალიაში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ, როგორც ჩანს, მან გადაიფიქრა.

## მემფის დეპაი კარიერას იუვენტუსში გააგრძელებს



მემფის დეპაი დიდი ალბათობით ბარსელონას დატოვებს, რადგან მასზე ხავი აქცენტის გაკეთებას არ აპირებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდში რობერტ ლევანდოვსკი მივიდა. დეპაის შეძენით იუვენტუსია დაინტერესებული და ტურინელები მას 2-წლიან კონტრაქტს სთავაზობენ, რაზეც, სავარაუდოდ, მემფისი უარს არ იტყვის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## სოფელი დოჭუ მძიმე მდგომარეობაშია



კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე სოფელი დოჭუ მძიმე მდგომარეობაშია.

ინფორმაცია ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გაავრცელა:

– ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი დოჭუ მძიმე მდგომარეობაშია და გადასარჩენია.

მას 2016 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს.

დოჭუ თუშეთში, ბოჭორნის შემდეგ მდებარეობს. გაშენებულია კლდეზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მაღლა.

სახლების უმრავლესობა 120 წელზე მეტი ხნისაა.

როგორც მთელ თუშეთში, აქაც არ არის ელექტრობა. რელიეფის გამო, გზაც ბოლომდე ვერ მიდის.

მთელი სოფელი მისახედია და დიდი იმედი მაქვს, დოჭუს გადავარჩენთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 15 აგვისტოსათვის



**ვერძი** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ტელეფონის ზარი:

– ალო, ეს არის სექსი ტელეფონით. მე თქვენს ნებისმიერ სურვილს შევასრულებ!

– ქალო, ლამარა, მე ვარ... სახლში რომ წამოხვალ, პური გამოაყოლე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ, ფეხბურთის მატჩის დროს, მსაჯმა ფეხბურთელს შემთხვევით ყვითელი ბარათის მაგივრად პრეზერვატივი ამოუღო...

– მერე?

– მერე თამაშის მთელმა დარჩენილმა დრომ ისე ჩაიარა, რომ თამაშის წესების დარღვევა ვერავინ გაბედა.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, არ გინდა, ზღაპარში რომ მოხვდე? შეებრძოლებოდი დევებს, ურჩხულებს, გველეშაპებს...

– იცი რა, შვილო, მას შემდეგ, რაც სამსახური დავიწყე და ცოლი მოვიყვანე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ზღაპარში ვცხოვრობ.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– რაზე ოცნებობ?

– იმაზე, რომ შევხვდე ფერიას, რომელიც ასი ათას დოლარს მაჩუქებს.

– და რატომ მილიონს არა?

– მილიონი ხომ არარეალურია.

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ქალთა კონსულტაციაა?

– დიახ, რით შეგვიძლია, დაგეხმაროთ?

– მითხარით, მუხრუჭის „პედალი“ მარჯვნივაა თუ მარცხნივ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## გიორგი დიდებაშვილი გარდაიცვალა



„წიგნების თაროს“ ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე გიორგი დიდებაშვილი გარდაიცვალა. მას მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია დაუდგინდა. სამწუხაროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

სამწუხარო ინფორმაცია ნანა ბოხუამ გაავრცელა:

– კიდევ ერთი კაშკაშა ვარსკვლავი ჩაუქრა მცხეთას და არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ მომავლის საქართველოსაც. გიორგი დიდებაშვილიც იქ გადასახლდა, სადაც აღარავის არაფერი სტკივა, სადაც ყველა დაავადება იკურნება და აღარც სიკვდილის ეშინიათ.

მეორე საჯარო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყება ნათელი ბიჭის, გიორგი დიდებაშვილის, გარდაცვალებას.

სიცოცხლით სავსე და სიცოცხლეზე შეყვარებული, დიდი მიზნების, უსაზღვრო პოტენციის და ნიჭის ახალგაზრდა გამოაკლდა ძალიან ღირსეულ მამულიშვილებს, რომელთა მხრებსა და გულზე საქართველოს ხვალინდელი დღე აიზიდება.

გიო, გვაპატიე, როგორი უსუსური აღმოჩნდა მთელი ქვეყანა შენი ვერაგი სენის წინაშე. უსაზღვროდ უყვარხარ ნანას და იცი ეს შენ.

## ნინო ბაშარული საქართველოს რეგიონებში მუსიკალურ ტურებს მოაწყობს



მომღერალმა ნინო ბაშარულმა დიდი ხნის ოცნება აისრულა და ტურისტული მოძრაობა „ქარავანი“ დააფუძნა, რომელიც „გოუ ტურთან“ ერთად მუსიკალურ ტურებს საქართველოს ყველა რეგიონში განახორციელებს.

ნინო ბაშარული და მისი „ქარავანი“ უახლოეს მომავალში პირველ ტურს განახორციელებს, რაც გულისხმობს უნიკალურ ტურებს გემოვნებიან მუსიკოსებთან ერთად.

## სიღნაღი არტ ფესტივალს უმასპინძლებს




სიღნაღი არტ ფესტივალს უმასპინძლებს, სადაც მსმენელის წინაშე სხვადასხვა თაობის ცნობილი ხელოვანები წარდგებიან.

„ქართული სიმღერა რეგიონებს“ – ასე ეწოდება პროექტს, რომელიც არაერთ გამორჩეულ საღამოს გამართავს.

26 აგვისტოს სიღნაღში, აღმაშენებლის მოედანზე ქართული სიმღერის საღამო ჩატარდება. მასში მონაწილეობას მიიღებენ აჩიკო ნიჟარაძე, ნეკა სებისკვერაძე, ნათია პერანიძე, დათო ნოზაძე. პიანისტები ნინო გულიაშვილი და მარიკა ოსიტაშვილი. საღამოს თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძე წარუძღვება.

ინფორმაცია მომღერალმა აჩიკო ნიჟარაძემ გაავრცელა:

– 21-26 აგვისტოს სიღნაღი არტ ფესტივალს უმასპინძლებს, სადაც უამრავი საინტერესო ამბავი გელოდებათ. სიღნაღი არტ ფესტივალი დაჯილდოების ცერემონიალით და გალა კონცერტით დაიხურება.

ფესტივალი საქართველოს პარლამენტის წევრის დავით სონღულაშვილის ინიციატივით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით იმართება.

## ანა კალანდაძის სახელობის ლიტერატურული პრემია დაფუძნებულია



ქართული პოეზიის დედოფლად წოდებული ანა კალანდაძის სახელის უკვდავსაყოფად ლიტერატურული პრემია „ანა“ დაფუძნდა.

პრემია კულტურის სამინისტროს ინიციატივით დაარსდა და იგი ქალებსა და ქალ მწერლებს ეძღვნებათ.

ანა კალანდაძის სახელობის ლიტერატურული პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი ყოველწლიურად, ივლისის თვეში გამოცხადდება და მისი ძირითადი მიზანი ქალი ავტორების ხელშეწყობა, წარმოჩენა და წახალისება იქნება. ერთი ნომინაცია შეეხება როგორც ქალ, ისე მამაკაც ავტორებს და გაიცემა ნაწარმოებისათვის, რომელიც ქალის თემას მიეძღვნება.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ (გამომცემლებს/საგამომცემლო სახლებს) და საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს. კონკურსის ფარგლებში განიხილება კონკურსის გამოცხადების წინა წელს წიგნად გამოცემული თანამედროვე ქალი ავტორის/ების ქართულენოვანი ან/და ქართულ ენაზე თარგმნილი უცხო ენაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები.

**კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან შემდეგ ნომინაციებში:**

ქალი პროზაიკოსი – საუკეთესო პროზაული კრებულისთვის;

ქალი პოეტი – საუკეთესო პოეტური კრებულისთვის;

ქალი მთარგმნელი – საუკეთესო თარგმანისთვის;

ქალის თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი.

თითოეულ ნომინაციაში პრემიის ოდენობა 5 000 ლარს შეადგენს. კონკურსის გამარჯვებულს ასევე გადაეცემა სიგელი. ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვების შემთხვევაში, პრემია გაიცემა თითოეული ნომინაციისათვის.

კონკურსანტს შესაძლებლობა აქვს, საკონკურსო განაცხადი სხვადასხვა ნომინაციაში წარმოადგინოს, თუმცა, ერთ ნომინაციაში შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთი ნაწარმოების/კრებულის წარდგენა. კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენისა და მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით, მინისტრის მიერ ყოველწლიურად შეიქმნება ლიტერატურის სფეროს აღიარებული სპეციალისტებისაგან შემდგარი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც 5 წევრი იქნება.

წლევანდელი საკონკურსო ნამუშევრების მიღება 22 აგვისტოს დასრულდება. გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალი კი დეკემბერში გაიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 2. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 3. ხულიგნის, ბანდიტის, ქურდის საერთო სახელწოდება ძველად საფრანგეთში; 5. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 6. ლეჩხუმის ძველი სახელწოდება ბიზანტიური წყაროების მიხედვით; 9. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 10. მაღალი კლასის სასტუმრო შეკვეთილში; 11. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. კორეული მსუბუქი ავტომობილი; 16. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 18. თეთრყურძნოვანი ვაზის სუფრის ჯიში.

**თარაზულად:** 1. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 4. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე; 7. მართლმსაჯულების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 12. აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი; 13. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 15. ბრაზილიური არაყი; 17. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 19. სანთლის ფიგურების მუზეუმი; 20. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 21. ბადრიჯნით, პამიდვრით და მწვანილებით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

